პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

კვირა,
9
აგვისტო
1936 წ.
№ 183 (4692)

ფასი 10 კაპ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

- სტახანოვური გაქანება საბჭოთა ვაჭრობას (მეთაური).
- პარტიული თათბირი საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე.
- ამხ. ს. ორჯონიკიძის ბრძანება.
- ამხ. ა. დ. ბრუსკინის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ — სსრ კავშირის ცაკის დადგენილება.
- პროფ. გ. ნანეიშვილი — ახალი კონსტიტუციის პროექტი და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხი.

უცხოეთში

- სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში.
- საზღვარგარეთის პრესა ინგლის-საბჭოთა კავშირის საკრედიტო შეთანხმების შესახებ.
- ფაშისტური გერმანიის გეგმები პოლონეთისა და ლიტვის მიმართ.
- იაპონელი მილიტარისტების [illegible] პროვინციაში.

სტახანოვური გაქანება საბჭოთა ვაჭრობას!

სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა. არნახული სისწრაფით გაიზარდა და იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, მაღლდება მათი კულტურული დონე.

მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება უდიდეს ამოცანებს გვიყენებს ნამდვილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საქმეში. საბჭოთა კულტურული ვაჭრობა ერთერთი მძლავრი ფაქტორია ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის, ახალ-ახალი გამარჯვების მოპოვებისათვის.

საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლის შესახებ ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი XVII პარტყრილობაზე ამბობდა: „რომ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება მძლავრად სჩქეფდეს, ხოლო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის შემდგომი ზრდის სტიმული ჰქონდეს, საჭიროა მოგვეპოვებოდეს... გაშლილი საქონელბრუნვა. საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა დაფარული იყოს სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, ფარდულების უხვი ქსელით. აუცილებლად საჭიროა, რომ ამ ბაზების, მაღაზიების, ფარდულების არხებით შეუჩერებლივ სწარმოებდეს საქონლის ცირკულაცია წარმოების ადგილებიდან მომხმარებლებამდე".

ბელადის ამ მითითების რეალიზაციისათვის დაირაზმნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები. ჩვენი ქვეყანა იფარება ახალი სავაჭრო ქსელით — გაიშალა ბოლშევიკური ბრძოლა გაშლილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთიორად და ერთისამად გაიზარდა საქონელბრუნვა.

წინათ ვაჭრობა ჩვენი პარტიის ზოგიერთ ცალკეულ ორგანიზაციას მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნდათ, სავაჭრო ქსელში იგზავნებოდნენ შედარებით დაბალი კულტურისა და უნარის მქონე მუშაკები, სავაჭრო ორგანიზაციებში ბევრგან მოკალათებული იყვნენ კლასობრივი მტრები, ყოფილი ვაჭრები და გამფლანგველები, რომელნიც ანიავებდნენ და ფლანგავდნენ სახალხო დოვლათს. ეხლა კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ვაჭრობის დარგში მუშაობენ სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო ადამიანები, რის შედეგად ფართოდ გაიზარდა და გაუმჯობესდა საბჭოთა კულტურული ვაჭრობა.

ათასობით მოგვეპოვებიან კულტურული საბჭოთა ვაჭრობის ოსტატები. ჩვენს სავაჭრო ორგანიზაციებშიაც ინერგება დიადი სტახანოვური მოძრაობა, რომელიც უძლიერეს იარაღს წარმოადგენს საბჭოთა კულტურული ვაჭრობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ეს ადამიანები ბოლშევიკურად იბრძვიან კულტურული ვაჭრობის და საქონელბრუნვის გეგმების ერთიორად და ერთისამად გადაჭარბებისათვის. მოგვეპოვებიან ისეთი მუშაკები, რომლებმაც ასეთი ბრძოლის შედეგად სტახანოველის საპატიო სახელი მოიპოვეს.

მაგალითად, ვარდისუბნის (ლაგოდეხის რაიონი) რაიმაღაზიის დირექტორს — ამხ. ჭყონიას მომარჯვებული აქვს მუშაობის სტახანოვური მეთოდი, საქონელბრუნვის გეგმებს ორასი და უფრო მეტი პროცენტით ასრულებს. აღსანიშნავია მუშაობა ზუგდიდის რაიკოოპკავშირისა, რომელიც კარგად ხელმძღვანელობს სტახანოველებს და, რომელსაც სტახანოვური მეთოდის დანერგვის შედეგად მიღწეული აქვს თვალსაჩინო ეკონომია, სოციალისტური დაგროვება და დებიტორთა დავალიანების საგრძნობლად შემცირება.

მაგრამ ეს მაგალითები ჯერ კიდევ მასობრივი როდია. სტახანოვური მეთოდის დანერგვის საქმე ცუდად არის დაყენებული გურჯაანის, ცაგერის, ახალქალაქის და ბორჯომის რაიონებში. აქ რაიკოოპკავშირები უხეიროდ მუშაობენ, ვერ იჩენენ ფხას, ინიციატივას, ვერ ხელმძღვანელობენ სტახანოვურ მოძრაობას, ვერ ზრდიან სტახანოველებს. ამიტომაც აქვთ გარღვევები გეგმების შესრულებაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ რაიონებში არა გვყავდნენ სტახანოველები და სტახანოვური მოძრაობისათვის მებრძოლნი, მაგრამ რაიკოოპკავშირების უხეირო მუშაობის გამო ეს მოწინავე ადამიანები არ არიან გამოვლინებული.

ხელმძღვანელი სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სერიოზულად არ ჩასდგომიან სათავეში სტახანოვურ მოძრაობას, ისინი ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას სავაჭრო ორგანიზაციებში სტახანოვური მეთოდის დანერგვას და ხშირად სტახანოველთა ფორმალური სიებით კმაყოფილდებიან. ძალიან ცოტაა გაკეთებული სავაჭრო ორგანიზაციების მუდმივ სტახანოვურ მუშაობაზე გადასაყვანად.

ტფილმრეწვავაჭრობის მთელრიგ მაღაზიებში არ მიმდინარეობს ტექდაუფლების წრეების მეცადინეობა. მაღაზიების დირექტორები, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ აფასებენ ტექდაუფლების წრეების მუშაობას, ისინი საშუალებას არ აძლევენ სტახანოველებს იარონ წრეების მეცადინეობაზე. ეს დაუშვებელი, სამარცხვინო ამბავია.

ფაქტები ცხადჰყოფენ, რომ დიადმა სტახანოვურმა მოძრაობამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სათანადო გასაქანი საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებში. შინავაჭრობის კომისარიატმა და ცეკავშირმა დღემდე ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა ისე, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში ფართოდ გაეშალათ მუშაობის სტახანოვური მეთოდი.

მეტი მზრუნველობა და დახმარება სახელოვან ადამიანებს, სტახანოველებს, დაუნდობელი ბრძოლა დიადი სტახანოვური მოძრაობის აშკარა და ფარულ მტრებს, მთელი საბჭოთა სავაჭრო ქსელის გადაყვანა მუდმივ სტახანოვურ მუშაობაზე — აი საბრძოლო ამოცანა, რომელიც ასე მწვავედაა წამოჭრილი საბჭოთა ვაჭრობის ხელმძღვანელ ორგანოების, მუშაკების და საქართველოს მთელი პარტორგანიზაციის წინაშე.

უნდა შევიგნოთ, რომ ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა კულტურული ვაჭრობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

დადგენილება

სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოსი

შემნახველი სალაროების მიერ სახელმწიფო საშინაო სესხთა ობლიგაციების გირაოს ქვეშ სესხის გაცემის წესის შესახებ

საშინაო სახელმწიფო სესხთა განვითარებაში მიღწეული წარმატებანი და სახელმწიფო სესხების მქონეთა მომსახურეობის მთელი საქმის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები უკვე ახლამად საშუალებას გვაძლევენ გავაუქმოთ სახელმწიფო სესხების მქონეთათვის შემზღუდავი არსებული წესი ობლიგაციათა გირაოს ქვეშ სესხის გაცემისა თვითეულ ცალკე შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფო კრედიტის ხელშემწყობ კომისიათა ნებართვით.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს არსებული წესი შემნახველ სალაროების მიერ სახელმწიფო საშინაო სესხთა ობლიგაციების გირაოს ქვეშ სესხის გაცემისა თვითეულ ცალკე შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფო კრედიტის ხელშემწყობ კომისიათა ნებართვით.

2. დაწესდეს კონვერსიის დამთავრების მომენტიდან, ე. ი. 1937 წლის 1 მარტიდან, შემნახველი სალაროების მიერ სახელმწიფო საშინაო სესხთა ობლიგაციების გირაოს ქვეშ სესხის გაცემა შემდეგ საფუძვლებზე:

ა) სესხი ობლიგაციათა გირაოს ქვეშ გაიცემა ობლიგაციის ღირებულების არა უმეტეს 30 პროცენტის თანხისა, ვადით არა უმეტეს 6 თვისა, თვიურად ნახევარი პროცენტის გადახდევინებით;

ბ) სახელმწიფო სესხთა მქონე, რომელმაც თავის ობლიგაციათა გირაოს ქვეშ სესხი მიიღო, სესხით სარგებლობის დროს სესხთა ტირაჟებში მონაწილეობას არ ღებულობს, რის გამო სესხის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ობლიგაციები შედის სახელმწიფო სალაროთა პორტფელში, ხოლო სესხის დაფარვის დროს სახელმწიფო სესხთა მქონეს ეძლევა თანაბარი თანხის ახალი ობლიგაციები შემდგომ ტირაჟებში მონაწილეობის უფლებით;

გ) იმ სესხში, რომელიც საშინაო სესხთა ობლიგაციების გირაოს ქვეშ გაიცა და ვადაზე არ დააბრუნეს, გადახდებათ ერთი პროცენტი თვიურად.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებელი ი. უნშლიხტი.

მოსკოვი, კრემლი.
1936 წლის 20 ივლისი.

◇ ◇ ◇

ამხ. ორჯონიკიძის ბრძანება

მიუხედავად იმ უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობისა, რომელიც აქვს პროფ. **რამზინის სისტემის** სწორდენა ქვაბების შემოღებას ენერგეტიკულ მეურნეობაში, ენერგეტიკის მთავარმა სამმართველომ თვითნებურად გამორიცხა 1936 წლის დაკვეთის გეგმიდან საწარმოებლად დამტკიცებული სწორდენა ქვაბები და ამით ჩაშალა ეს უმნიშვნელოვანესი დავალება. ვთვლი რა ენერგეტიკის მთავარი სამმართველოსი და მისი უფროსის ამხ. **ლოვინის** ასეთ ქცევას ჩამორჩენილი სამეურნეო მუშაკებისა და ინჟინრების დამახასიათებელი უძრაობისა და კონსერვატიზმის გამოხატულებად მოწინავე ტექნიკის საქმეში, სასტიკ საყვედურს ვუცხადებ ენერგეტიკის მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. **ლოვინს** და ვაფრთხილებ, რომ ტექნიკურად მოწინავე სწორდენა ქვაბების ფართოდ შემოღებისადმი წინააღმდეგობის ოდნავი განზრახვის შემთხვევაში ამხ. **ლოვინი** მოხსნილი იქნება ახლანდელი პოსტიდან თანამდებობრივი ჩამოქვეითებით.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ს. ორჯონიკიძე.

მოსკოვი, 1936 წ. 7 აგვისტო.

საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოვებული საქართველოს კვების მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. **მ. ბაუმფელდი** ტრესტის „საქართველოს ჩაის" დირექტორი, დაჯილდოვებულია **ლენინის ორდენით,** ამხ. **გ. მათითაიშვილი**—საქართველოს საკონსერვო ტრესტის დირექტორი, დაჯილდოვებული **ლენინის ორდენით** ამხ. **გ. შენგელია**—„საქჩაის" დირექტორის მოადგილე, დაჯილდოვებულია **შრომის წითელი დროშის ორდენით** ამხ. **ერ. დაბენია**—თამბაქოს საკავშირო გაერთიანების საქართველოს განყოფილების მმართველი, დაჯილდოვებულია **„საპატიო ნიშნის" ორდენით.**

სამხედრო-ფაშისტური ამბოხება ესპანეთში

პარიჟი, 7 აგვისტო. 6 საათია, რაც კადიქსში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს მთავრობის მომხრეებსა და მეამბოხეებს შორის.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ქალაქი მთავრობის მომხრეებმა დაიკავეს. სხვა ცნობებით, ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება და ცნობები კადიქსის დაკავების შესახებ მთავრობის მომხრეების მიერ ნაადრევია. (ადს)

ლონდონი, 7 აგვისტო. „ტაიმსის" ცნობით, გვადარამის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ტოლედო თითქმის მთლიანად მთავრობის ჯარების მიერ არის დაკავებული. მეამბოხეები მხოლოდ ალკაზარში (ციხე-სიმაგრე) არიან გამაგრებული. მთავრობის ჯარებმა აიღეს ბაესაც. მოელიან ხოისკის აღებას, რომელიც მეამბოხეებს უკავიათ. მეამბოხენი სარაგოსაში მძიმე მდგომარეობაში არიან. ოვიედოში მეამბოხეთა დასახმარებლად გაგზავნილი კოლონა დამარცხდა.

„მანჩესტერ გარდიანის" ცნობით, ორი ათასი კაცისაგან შემდგარი მეამბოხეთა კოლონა, რომელსაც აქვს ექვსი ქვემეხი და ათი ტყვიამფრქვევი, შეხვდა მთავრობის ჯარებს სასტაგოში და დაუმორჩილდა მათ.

მეამბოხეთა ჯარისკაცებმა განაცხადეს რესპუბლიკური არმიის რიგებში დაუყოვნებლივ შესვლის სურვილი. გზა სარაგოსისაკენ გახსნილია. მთავრობის ჯარებს ძლიერი პოზიციები უჭირავთ. მეამბოხენი კვლავ უნაყოფოდ ცდილობენ დაიპყრონ ბილბაო.

ხენდეიდან მიღებული ცნობით მთავრობის ჯარები სან-სებასტიანში ამზადებენ მასობრივ საჰაერო თავდასხმას მეამბოხეთა ზურგში.

გუშინ მთავრობის ჯარები სან მაროკოში და გვადალუპაში გააფთრებით უშენდნენ ყუმბარებს მეამბოხეთა პოზიციებს ოიარსუნს უკან.

„ტაიმსის" ცნობით, უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ესპანეთის სანაპიროზე ესპანეთის მაროკოდან ოთხი ათასი მეამბოხე გადმოსხეს. სულ აქამდე ნაპირზე გადმოსხმული 9 ათასი ფერადკანიანი ჯარი და უცხოეთის ლეგიონის ორი რაზმი. მეამბოხეთა ჯარები თავს იყრიან ხერესში (კადიქსის პროვინციაში).

„ნიუს-ქრონიკლის" ცნობით, ოთხი ამერიკელი მოქალაქე, რომლებიც ჩამოვიდნენ სევილიის მახლობლად მდებარე სოფელ ლა კამპანიდან, ამბობს, როდესაც იქ ფაშისტთა დამსჯელი რაზმი მოვიდა, ათობით ტყვეები, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი, რომ ისინი რესპუბლიკელებს თანაუგრძნობენ, ცოცხლივ დასწვეს საპყრობილეში. მეამბოხეებმა ტყვიამფრქვევით სროლა აუტეხეს სოფლის მშვიდობიან მოსახლეობას და დასწვეს სოფელი. (ადს)

მთავრობის გემები სეუტასა და ალჟესირასს ყუმბარებს უშენენ

ლონდონი, 7 აგვისტო. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, მთავრობის ოთხმა გემმა დღეს ყუმბარები დაუშინა სეუტასა და ალჟესირასს. მთავრობის სახაზო კრეისერის „ხაიმე 1"-ის ყუმბარები მოხვდა მეამბოხეთა საკანონერო ნავს „დატოს". როგორც იუწყებიან, კანონერზე ხანძარი გაჩნდა. ყუმბარების დაშენით ძალიან დაზიანდა ქალაქი ალჟესირასი. (ადს)

ა. შ. შტატების ნოტა ესპანეთის მთავრობას

ვაშინგტონი, 6 აგვისტო. სახელმწიფო დეპარტამენტმა (ა.-შ. შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრო) ესპანეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც იმედს გამოსთქვამს, რომ ესპანეთის მთავრობა უზრუნველჰყოფს ამერიკელთა საკუთრების დაცვას ესპანეთში და აუნაზღაურებს მათ ყველა შესაძლო ზარალს. ა.-შ. შტატების საქმეთა რწმუნებულს მადრიდში აცნობეს, რომ ესპანეთის მთავრობა კეთილგანწყობილად განიხილავს სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტას. (ადს)

მდგომარეობა ჩრდილოეთ-ესპანეთში

პარიჟი, 7 აგვისტო. როგორც მადრიდიდან იუწყებიან, გუშინ გვადარამის ფრონტზე რესპუბლიკის ძალებსა და მეამბოხეთა ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლა ხდებოდა. მეამბოხეთა ავანგარდი ცდილობდა გაერღვია ხაზი სოფელ გვადარამისაკენ, მაგრამ რესპუბლიკელთა ენერგიული შეტევის შედეგად იძულებული შეიქნა თავის პირვანდელ პოზიციას დაბრუნებოდა. რესპუბლიკელთა კოლონებს კვლავ ხელში უჭირავთ სანრაფაელი.

ბარსელონიდან იუწყებიან, რომ არაგონის ფრონტზე განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებს.

მეამბოხეთა შტაბი ავრცელებს გენერალ მოლას განცხადებას, ვითომ მის ავანგარდებს მოეხერხებინოთ მიახლოვება მადრიდის მისასვლელებთან. მეამბოხეთა შტაბის ცნობით, ხეტაფეს (მადრიდის მახლობლად) და ბარახასის აეროპორტებს მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს. (ადს)

ბალეარის კუნძულებზე მთავრობის ჯარების შეტევის წინ

ლონდონი, 7 აგვისტო. პრესის გადმოცემით, ესპანეთის მთავრობა გაძლიერებით ამზადებს შეტევას ვალენსიიდან ბალეარის კუნძულებზე. დღეს ბალეარის კუნძულებზე მთავრობის თვითმფრინავებმა ჩამოჰყარეს ფურცლები, რომლებშიც მეამბოხეებს წარდგენილი აქვთ ულტიმატური მოთხოვნა დანებდნენ. (ადს)

გმირი ესპანელი ხალხის დასახმარებლად

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. ნიუ-იორკის ორგანიზაციამ — მუშათა კლუბმა, რომელსაც სოციალისტები ხელმძღვანელობენ, 25 ათასი დოლარი შეაგროვა ესპანეთის მუშებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, „იტალიის ანტიფაშისტურმა ლიგამ" ნიუ-იორკში აცნობა ესპანეთის კონსულს, რომ 100 მოხალისე მზად არის გაემგზავროს ესპანეთს, რათა იბრძოლოს ესპანეთის მთავრობის მხარეზე. უახლოეს დღეებში ა.-შ. შტატებს მრავალ ქალაქში მოეწყობა ესპანეთის ხალხთან სოლიდარობის მიტინგები. (ადს)

ჩვენი გმირები კრასნოიარსკში

ჩიტა-კრასნოიარსკი

კრასნოიარსკი, 7 აგვისტო. ჩიტადან გამოფრენის 10 საათისა და 15 წუთის შემდეგ „ანტ-25" 14 საათსა და 05 წუთზე მოსკოვის დროით უვნებლად დაეშვა კრასნოიარსკის აეროდრომზე (ადს)

○

მოსკოვი, 8 აგვისტო. 3 საათი და 50 წუთია მოსკოვის დროით. თვითმფრინავი „ანტ-25" გამოფრინდა ჩიტა-კრასნოიარსკის მარშრუტით. ცოტა ხნის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ბაიდუკოვი რადიოგრამით იუწყება: „მთელი ეკიპაჟის სახელით ზაბაიკალიის ყველა მეომარსა და მეთაურს ამხანაგურ მადლობას ვუძღვნი იმ ყურადღებისათვის, რომელიც ჩიტაში გამოიჩინეს. ყველაფერი წესრიგშია".

5 საათი და 14 წუთი. თვითმფრინავ „ანტ-25"-დან მიღებულია რადიოგრამა: „გავდივართ ონიმსკოეს ღრუბლებს ზევით. ბელიაკოვი".

6 საათი და 36 წუთი. ირკუტსკი ტელეგრაფით მოსკოვს ატყობინებს შემდეგ რადიო-ცნობას „ანტ-25"-დან: „რაც შეიძლება სწრაფად შეგვატყობინეთ ამინდის მდგომარეობა, მოკლე ნიშნებით, მოთავსდით 10 წუთში. სალამი ირკუტსკის პროლეტარებს „ანტ-25"-ის ეკიპაჟისაგან. გავდივართ ბაიკალს. ჩკალოვი, ბელიაკოვი, ბაიდუკოვი".

7 საათი და 30 წუთი. ირკუტსკი მოსკოვს დეპეშით ატყობინებს, რომ თვითმფრინავიდან მიღებულია შემდეგი რადიო-ცნობა: „გადაეცით, რომ, სამწუხაროდ, გაფრენის გარემოებათა გამო არ შეგვიძლიან შევჩერდეთ თქვენს მშვენიერ ქალაქში, ამიტომ ჰაერიდან გიძღვნით ჩვენ სალამს. თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟი".

8 საათი 25 წუთი. „ანტ-25" გაიარა ბელაიას სადგური.

9 საათი 22 წუთი. ირკუტსკი დეპეშით იტყობინება, რომ თვითმფრინავიდან მიღებულია შემდეგი რადიოცნობა: „9.15 გავიარეთ ზალარი. ყველაფერი წესრიგშია. ძალიან გვანჯღრევს — მუშაობა ძნელია".

10 საათი 18 წუთი. „ანტ-25" გაიარა ტულუნი.

11 საათი 05 წუთი. „ანტ-25" გაიარა ნიჟნეუდინსკი.

11 საათი 58 წუთი. „ანტ-25" გაიარა ტაიშეტი.

13 საათი 58 წუთი. „ანტ-25" მიდის დასაშვებად კრასნოიარსკში.

14 საათი 05 წუთი. საბჭოთა კავშირის გმირები უვნებლად დაეშვნენ კრასნოიარსკის აეროდრომზე.

შეხვედრა კრასნოიარსკში

კრასნოიარსკი, 7 აგვისტო კრასნოიარსკის ათასობით მშრომელნი, ქალაქს დაშორებით, აეროდრომზე შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირებს. დიდი ხნით ადრე „ანტ-25"-ის მოფრენამდე აქ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

ყველა იყურება აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც უნდა გამოჩნდეს გამარჯვების წითელფრთებიანი ფრინველი. გადის რამდენიმე საათი...

შორს, ჰორიზონტზე, ღრუბლებში გამოჩნდა თვითმფრინავი. აეროდრომზე ასტყდა სასიხარულო გუგუნი, რომელიც თვითმფრინავის მოახლოვებასთან ერთად თანდათან ძლიერდებოდა. „ანტ-25" დაბლა მოფრინავს, მან რამდენიმე წრე გააკეთა აეროდრომზე და უზარმაზარი თვითმფრინავი ოსტატურად დაეშვა მიწაზე, რაც დამსწრეთა აღტაცებას იწვევს.

ძანძარა გაჩერდა. თვითმფრინავიდან გამოვიდა ჩკალოვი და მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. შემდეგ თავის მეგობრებთან ბაიდუკოვთან და ბელიაკოვთან ერთად ადის ტრიბუნაზე. მქუხარე ტაში, ყვავილების თაიგულები და აღფრთოვანებული შეძახილები — „ვაშა სტალინს", „ვაშა საბჭოთა კავშირის გმირებს". ამხ. ჩკალოვი ამბობს სიტყვას:

მოხარულნი ვართ, რომ შევასრულეთ დიდი სტალინის დავალება. დავალება შევასრულეთ იმიტომ, რომ ჩვენს უკან იდგა ძლიერი საბჭოთა ქვეყანა, მშობლიური სტალინი, და ეს უკანასკნელი რეისი როდია, მსოფლიო ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის ბევრ დიად საქმეს იხილავს.

აეროდრომის ვეებერთელა მინდორს აყრუებს ხანგრძლივი „ვაშა" უდიდესი ადამიანის, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ჩკალოვმა განაცხადა:

— მანძილს ჩიტადან კრასნოიარსკამდე „ანტ-25" მიდიოდა ღრუბლებში, უბერავდა ძლიერი შემხვედრი ქარი. თვითმფრინავს აქეთ იქით ისროდა. ჩვენ მივფრინავდით ღრუბლების თავზე და ღრუბლებს ქვეშ. ორჯერ შემოვუარეთ წვიმას. მოტორი, მატერიალური ნაწილი საუცხოო მდგომარეობაშია.

„ანტ-25"-ის ეკიპაჟმა მისასალმებელი დეპეშები მიიღო საქ. კ. პ. (ბ) დასავლეთ - ციმბირის სამხარეო კომიტეტის მდივნისაგან ამხ. ეიხესაგან და კრასნოიარსკის მრავალი ორგანიზაციისაგან. (ადს)

მფრინავი ანდრე ჟაპი მოსკოვში

მოსკოვი, 7 აგვისტო. 7 აგვისტოს პარიზიდან მოსკოვში „კოდრონ-რენოს" სისტემის მსუბუქი სასპორტო თვითმფრინავით, რომელსაც 220 ცხენისძალიანი მოტორი აქვს, მოფრინდა, ფრანგი მფრინავი ანდრე ჟაპი.

თავის გადმოფრენას მოსკოვში ჟაპი სავარჯიშო ფრენად სთვლის. (ადს)

პარტიული თათბირი საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე

7 აგვისტოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამხ. ლ. ბერიას თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში კოლმეურნეობათა მუშაობის საკითხებზე.

თათბირს დაესწრნენ ამხანაგები: **მგალობლიშვილი, კუდრიავცევი, ბაქრაძე, კეკელია, მათიკაშვილი, გვარამია, დოლიძე,** აღმოსავლეთ საქართველოს რაიკომთა მდივნები, რაიაღმასკომთა თავმჯდომარენი, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეები, და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები.

ინფორმაციით გამოვიდა ამხ. **ამბერკი კეკელია.**

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ზეინალოვი** (საქ. კ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივანი), **ტყავიანი** (საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მდივანი), **ჯიჯოევი** (სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე), **ბარსეგოვი** (საქ. კ. პ. (ბ) ალბულაღ-მანგლისის რაიკომის მდივანი), **ოტიაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) ზამკირეთის რაიკომის მდივანი), **წითლიძე** (საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი) **გელაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი), **ვარდოიანი** (ახალქალაქის რაიაღმასკომის სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე).

სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **ა. კუდრიავცევი** და ამხ. **გ. მგალობლიშვილი.**

თათბირი დახურა ამხ. **ლ. ბერიამ,** რომელმაც თავის სიტყვაში აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების საბჭოთა, პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების წინაშე დააყენა მთელი რიგი ამოცანები კოლმეურნეობების ხელმძღვანელობისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად გატარების დარგში.

◇ ○ ◇

ამხ. ა. დ. ბრუსკინის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ იქნას ამხ. ალექსანდრე დავითის-ძე ბრუსკინი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი ი. უნშლიხტი.

მოსკოვი, კრემლი.
1936 წ. 7 აგვისტო.

✳

ა. დ. ბრუსკინი

ალექსანდრე დავითის-ძე ბრუსკინი დაიბადა 1897 წ. ნოემბერში. 1915 წელს, სარატოვის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, შევიდა ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობს 1916 წლიდან, მუშაობს სტუდენტთა ორგანიზაციებში. 1919 წელს შევიდა მოხალისედ წითელ არმიაში, როგორც წითელარმიელი მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლებში დენიკინის ჯარების წინააღმდეგ სამხრეთ უკრაინაში. თეთრების მიერ 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ხარკოვის დაკავების დროს თაიპატიმრა კონტრდაზვერვამ.

1920 წელს დაუბრუნდა სწავლას ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, იმავე წელს შევიდა საკ. კ.პ. (ბ) რიგებში.

1922 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ხარკოვის ქარხანაში „სერპ ი მოლოტ", ჯერ ქარხნის ოსტატად და შემდეგ მექანიკოსად. 1923 წელს გაიგზავნა გერმანიაში, რომ დახელოვნებულიყო ტრაქტორმშენებლობაში. გერმანიაში ა. დ. მუშაობდა ქარხნებში და ლექციებს ისმენდა შარლოტენბურგსა და ბერლინში.

1924 წლიდან მუშაობს ხარკოვის საორთქლმავლო ქარხანაში.

1929 წლის დამლევიდან ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის მთავარი ინჟინერია, 1931 წლიდან—მისი ტექნიკური დირექტორი, ხოლო 1932 წლის დამლევიდან—დირექტორი. 1934 წლის მარტიდან ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის დირექტორია.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის წარმატებით მშენებლობისა და ათვისებისათვის დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით.

ამხ. ბრუსკინი სსრ კავშირის ცაკის წევრია.

◇ ◇ ◇

ბრძანება

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი

§ 1.

ამხ. ა. დ. ბრუსკინის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით განთავისუფლდეს იგი ჩელიაბინსკის ამხ. **სტალინის სახელობის** ქარხნის დირექტორის მოვალეობისაგან.

§ 2.

ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის დირექტორად დაინიშნოს ამ ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ნესტეროვსკი.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ს. ორჯონიკიძე.

მოსკოვი, 1936 წ. 7 აგვისტო.

ჩაის კრეფა

(მიწსახკომის 5 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან კილოგრამობით	4 თვის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათომისა	269.320	51,5
ქობულეთისა	1.292.570	64,7
გალისა	476.611	52
ოჩამჩირისა	267.569	66,7
მახარაძისა	2.238.700	61,6
ჩოხატაურისა	299.850	61,2
ლანჩხუთისა	1.067.853	59,3
სამტრედიისა	40.521	63
წულუკიძისა	70.946	89,5
ქუთაისისა	8.457	120,8
ტყიბულისა	81.669	79,1
ცხაკაიასი	242.830	64,2
გეგეჭკორისა	269.331	49,3
ზუგდიდისა	658.751	57,6
წალენჯიხისა	222.268	49,7
ჩხოროწყუსი	167.130	53,6
ხობისა	58.469	55,3
აჭარის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	126.470	73,1

წლის გეგმით, საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით, საქართველოში უნდა მოიკრიფოს 14.600.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სეზონის დაწყებიდან 5 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 7.859.488 კილოგრამი. 4 თვის გეგმა შესრულებულია 59,7 პროცენტით.

აგვისტოში, წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით, უნდა მოიკრიფოს 5.875.398 კილოგრამი ფოთოლი. 5 აგვისტოსათვის ამ თვის კრეფის გეგმა შესრულებული იყო 10.2 პროცენტით.

უკანასკნელად კრეფის ტემპები ისევ შენელდა. მაგალითად, ივლისის უკანასკნელ ხუთდღიურში მოიკრიფა სულ 806.085 კილოგრამი, ხოლო აგვისტოს პირველ ხუთდღიურში — 602.917 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

პოლონური გაზეთი საბჭოთა კავშირ-ინგლისის საკრედიტო შეთანხმების შესახებ

ვარშავა, 6 აგვისტო. პოლონეთის სავაჭრო წრეების ორგანო „გაზეტა ჰანდლოვა“ კომენტარიას უძღვნის საბჭოთა კავშირ-ინგლისის საკრედიტო შეთანხმებას და აცხადებს, სსრ კავშირი ერთერთი ყველაზე დიდი და გადამხდელუნარიანი მყიდველი აღმოჩნდა საერთაშორისო ბაზრებზე. ეს საქმით დამტკიცდა საბჭოთა კავშირის გადამხდელუნარიანობით, რამაც, გაზეთის სიტყვით, „აიძულა ჩვეულებრივ ფრთხილი ინგლისი, უყოყმანოდ მიეცა სესხი სსრ კავშირისათვის ეგზომ ხელსაყრელ პირობებში“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად შემცირდა ვაჭრობა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, ვინაიდან პოლონეთმა არ მისცა მას ისეთი პირობები, რომელიც დააკმაყოფილებდა სსრ კავშირს. გაზეთი სწერს: „საბჭოთა კავშირი ფიქრობს, რომ სესხის მიცემა, უეჭველად, შეუწყობდა ხელს სავაჭრო ბრუნვის გადიდებას პოლონეთსა და სსრ კავშირს შორის“. (ატს)

საზღვარგარეთის პრესა ინგლის-საბჭოთა კავშირის საკრედიტო შეთანხმების შესახებ

პრაღა, 7 აგვისტო. ჩეხოსლოვაკიის გაზეთები განაგრძობენ ინგლის-საბჭოთა კავშირის საკრედიტო შეთანხმების განხილვას. გაზეთი „ჩესკე სლოვო“ ბეჭდავს შეთანხმების სრულ შინაარსს და აღნიშნავს, რომ შეთანხმების დადება დიდი მნიშვნელობის საქმეა, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ 1924 წელს ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა დაეცა იმ დროს, როდესაც მსგავსი შეთანხმების შესახებ აწარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან. დასასრულ გაზეთი აცხადებს:

„ამ შეთანხმების მეოხებით მოსპობილია ყველა აქამდე არსებული დაბრკოლება ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში“. (ატს)

○

ბერლინი, 7 აგვისტო. მძიმე მრეწველობისა და საბანკო წრეების ორგანო, შახტთან ახლო მდგომი ბიულეტენი „დოიჩე ბრიფე“ დიდ სტატიას უძღვნის ინგლის-საბჭოთა კავშირის საკრედიტო შეთანხმებას. „დოიჩე ბრიფე“ „სენსაციურს“ უწოდებს ამ შეთანხმებას და აღნიშნავს, „ამ ჯერად მოლაპარაკებას ეძიებდნენ არა კრედიტის მიმღებნი, არამედ ინიციატივა ლონდონიდან მომდინარეობდა“. ბიულეტენი აღნიშნავს, რომ ინგლისს არ სურდა დაეკარგა თავისი ადგილი „საბჭოთა შეკვეთების მზის ქვეშ“, და მრავალმნიშვნელოვნად მოუწოდებს თავის მკითხველებს, რათა მათ ჯეროვნად შეაფასონ ის შანსები, რომლებიც ამით ინგლისისათვის იხსნება სსრ კავშირთან ვაჭრობაში. (ატს)

ფაშისტური გერმანიის გეგმები პოლონეთისა და ლიტვის მიმართ

ვარშავა, 7 აგვისტო. გაზეთი „პოლონია“ ათავსებს გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს მიერ გერმანიის პრესის ორგანოებისათვის დაგზავნილი საიდუმლო ცირკულარის ტექსტს და ამტკიცებს, რომ ეს ტექსტი ნამდვილია. ეს ცირკულარი დამახასიათებელ შუქს ჰფენს ფაშისტური გერმანიის გეგმებს პოლონეთისა და ლიტვის მიმართ. ცირკულარი კრძალავს პრესის მტრულ გალაშქრებას პოლონეთის მიმართ და, გაზეთის სიტყვით, ამ აკრძალვას შემდეგნაირად ასაბუთებს:

„კონფიდენციალურად განმარტებულია, რომ ეს არ მოასწავებს გერმანიის ნაციონალური ინტერესების რაიმე დათმობას პოლონეთში. პოლონეთი ჩვენ დროებით გვესაჭიროება მემელის (კლაიპედის) და დანციგის საკითხის გადასაწყვეტად. დანციგის კორიდორის ლიკვიდაციასთან ერთად მემელი და დანციგი შეუერთდება გერმანიას, ხოლო პოლონეთს მიეცემა ნაწილობრივი კომპენსაცია ლიტვის ხარჯზე“. (ატს)

იაპონელი მილიტარისტების აქტივიზაცია ფუძიანის პროვინციაში

შანხაი, 7 აგვისტო. ხუპალიანის სააგენტო იუწყება, რომ იაპონელებმა კვლავ გააძლიერეს მუშაობა „ავტონომიური ფუძიანის“ შესაქმნელად. შანხაიდან ამოიში გაიგზავნა იაპონელთა დიდი ჯგუფი ფურცლებით, ბროშურებით და სხვა მასალით, რომლებშიც ქადაგობენ „ფუძიანის ავტონომიას“. (ატს)

სსრ კავშირის თუ გერმანიის მხარეზე?

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. კონსერვატიულმა ყოველთვიურმა ჟურნალმა „რივიუ ოფ რივიუსმა“ თავის მკითხველთა შორის ჩაატარა ანკეტა თემაზე, თუ ვის თანაუგრძნობდნენ ისინი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ომის შემთხვევაში. ჟურნალის რედაქციამ მიიღო 2.712 პასუხი — თითქმის მხოლოდ-მხოლოდ მრეწველებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. 1588 კაცმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირს, 844 კაცმა — გერმანიას და 280 კაცმა — ნეიტრალიტეტს, ეხება რა ამ ცნობებს, ჟურნალი სწერს:

„ამ საკითხში მონაწილეობდნენ თითქმის მხოლოდ-მხოლოდ კონსერვატიული ელემენტები და კომუნიზმის თუ ფაშიზმის მომხრეთა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა. დასკვნა, თითქოს ნათელია: ამ ტიპიური ამერიკელების უმრავლესობას ესმის, რომ საბჭოთა კავშირი არსებითად დაინტერესებულია ქვეყნის შინაგანი გარდაქმნით ხუთწლედის შესრულებისა და ახალი დემოკრატიული კონსტიტუციის შემოღების გზით, მაშინ როცა გერმანია საშიშარ მღელვარებას იჩენს და აყენებს საგარეო დაპყრობათა გეგმებს, როგორც 1914 წელს“.

ჟურნალი „რივიუ ოფ რივიუსი“ ერთერთი უძველესი პოლიტიკური ჟურნალია ა. შ. შტატებში, მისი ტირაჟი 100 ათას ცალს აღემატება. (ატს)

იაპონიის მინისტრთა თათბირი

ტოკიო, 7 აგვისტო. დღეს მთავრობის სხდომის შემდეგ გაიმართა მინისტრთა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: სამხედრო მინისტრი ტერაუჩი, საზღვაო—ნაგანო და საგარეო საქმეთა — არიტა. დომეი ცუსინის სააგენტოს სიტყვით, მინისტრებმა განიხილეს ნანკინის მთავრობის პოლიტიკა ჩრდილო-ჩინეთის მიმართ. (ატს)

ჩრდილო-ჩინეთში

ბეიპინი, 7 აგვისტო. ჩინეთის პრესა იუწყება, რომ ხებეი-ჩახარის პოლიტიკური საბჭოს ეკონომიური კომისიის თავმჯდომარემ ვან გო-მინმა, რომელიც ნანკინს გაემგზავრა, გუშინ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „შექმნილ სხვადასხვა სიძნელის გამო გადავწყვიტე აღარ დავბრუნდე ბეიპინს ამჟამად“. ვან გო-მინმა დასძინა, რომ არ შეხვედრია ჩან-კაი-შის ლუშანში. აქ ფიქრობენ, რომ ჩან-კაი-ში ამჟამად არ ეთანხმება ჩრდილო ჩინეთში ჩინეთ-იაპონიის ეკონომიური თანამშრომლობის პირობებს, რომლებიც მას შესთავაზეს იაპონიის სამხედრო სარდლობამ და ვან გო-მინმა. იტყობინებიან, რომ მე-29 არმიის სარდლობის გავლენიანი წრეები, რომლებიც მოითხოვენ იაპონიის აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევას, ვან გო-მინის ჩრდილოეთში დაბრუნების წინააღმდეგნი არიან და მოითხოვენ ნანკინის მთავრობისაგან, რათა არ მიიღოს ვან გო-მინის წინადადებანი ჩრდილო-ჩინეთში იაპონელებთან ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ.

მე-29 არმიის ნაწილებში, რომლებიც დაბანაკებული არიან ფინტაიში, იზრდება ანტიიაპონური სულისკვეთება. დომეი ცუსინის სააგენტო ჩივის, რომ ჩინეთის სამხედრო ხელისუფალნი ფინტაიში აპატიმრებენ ყოველ ჩინელს, რომელიც მომსახურებას უწევს იაპონელს, და იმ ჩინელებსაც კი, რომელნიც ფინტაის ქუჩებში იაპონურად ლაპარაკობენ. იაპონიის სამხედრო სარდლობა ჩრდილო-ჩინეთში, აცხადებს დომეი ცუსინის სააგენტო, აპირებს მიიღოს ზომები ფინტაიში დაბანაკებული მე-29 არმიის ნაწილების მეთაურთა წინააღმდეგ. (ატს)

საფრანგეთის კომპარტიის წევრთა კრება

პარიზი, 7 აგვისტო. გუშინ პარიზში გაიმართა კომუნისტური პარტიის წევრთა კრება, რომელშიც 6 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. მორის ტორეზი. ამხ. ტორეზი შეეხო ესპანეთის ამბებს და განაცხადა, უდავოა, ჰიტლერისა და მუსოლინის ჩარევა ესპანეთის საშინაო საქმეებში. „აშკარად უნდა ითქვას, — აღნიშნა ამხ. ტორეზმა, რომ არ კმარა მარტო განცხადებები სოლიდარობის შესახებ. მუსოლინი და ჰიტლერი კი არ ლაპარაკობენ, არამედ მოქმედებენ. ესპანეთის მთავრობამ, რომ შეძლოს დაამარცხოს მეამბოხეები, რომელთაც ფაშისტები ეხმარებიან, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო მასალით, სანსრებით, იარაღით, საჭურველით და აეროპლანებით“.

მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც შინაპოლიტიკურ მდგომარეობასა და კომპარტიის ამოცანებს შეეხებოდა, ამხ. ტორეზმა ხაზი გაუსვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ზრდას, რაც მოწმობს მასების ნდობას მის მიმართ.

როგორც ამხ. ტორეზმა აღნიშნა, საფრანგეთის კომპარტიაში ამჟამად 225 ათასი წევრი ირიცხება, კომკავშირში კი 78 ათასი წევრი (ა.-წ. 9 ივლისს საფრანგეთის კომპარტიის წევრთა რაოდენობა 163 ათასს უდრიდა, კომკავშირისა კი—63 ათასს). (ატს)

თვითმფრინავთა ჯგუფური ფრენა ვარშავის თავზე

ვარშავა, 7 აგვისტო. ვარშავის თავზე გაიმართა ფრენა 14 ესკადრილიისა საერთო მწყობრში 108 სამხედრო თვითმფრინავის შემადგენლობით. გაზეთ „დობრი ვეჩურის“ ცნობით, ეს ჯგუფური ფრენა პირველი ვარჯიში იყო სამხედრო ავიაციის მოსამზადებლად 29 აგვისტოს დღისათვის, როდესაც გაიმართება საჰაერო შეჯიბრება პრიზზე — „გორდონ ბენეტის თასზე“. (ატს)

მაღაროელთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის რეზოლუცია

პრაღა, 7 აგვისტო. გუშინ პრაღაში დაიხურა მაღაროელთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იგი მოუწოდებს შრომის საერთაშორისო ბიუროს, ქვანახშირის მრეწველობის ახლანდელი კრიზისის გამო, ხელი შეუწყოს საერთაშორისო კონვენციის დადებას, თუნდაც ევროპის ქვეყნებს შორის. ეს კონვენცია უნდა ითვალისწინებდეს ქვანახშირის ამოღების მოწესრიგებას, გასაღების ბაზრების ორგანიზაციას, ფასების დაწესებას, ქვანახშირის ამოღების მეთვალყურეობას ყველა ქვეყანაში, აგრეთვე მაღაროელთა და ქვანახშირის მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

აირჩიეს მაღაროელთა ფედერაციის ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა. (ატს)

უცხოეთის ქრონიკა

#სუიუანის პროვინციაში (ჩინეთი) უკანასკნელ დღეებში მოხდა რამდენიმე სერიოზული შეტაკება იაპონიის აგენტის ლი-შოუ-სინის ჯარებს და ადგილობრივი გუბერნატორის ფუ-შო-ის ჯარებს შორის. ორივე მხრივ მსხვერპლი მრავალია.

#იაპონიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით 1935 წელს მოიჯარადრეებსა და მემამულეებს შორის მოხდა 5.004 კონფლიქტი, წინა 1934 წელს კი მომხდარა 3.849 კონფლიქტი. კონფლიქტების რიცხვის ზრდა აიხსნება გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებით.

#10 აგვისტოს ნოტინგემში (ინგლისი) გაიხსნება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ მსოფლიოს ყველა ჩემპიონი. სულ ტურნირში 100 მოჭადრაკე ღებულობს მონაწილეობას.

#გრაცაში (ავსტრია) აეროდრომზე ჩამოვარდა და დაიმსხვრა ავსტრიის სამხედრო თვითმფრინავი. პილოტი დაიღუპა.

#ურაგვაის პალატის სამმა დეპუტატმა — გომესმა (კომუნისტი) და ფრუგონიმ და ტრონტინომ (სოციალისტები) ურაგვაის კომუნისტური და სოციალისტური პარტიების სახელით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ესპანეთის მთავრობას.

#ჰავანაში (კუნძული კუბა) პოლიცია თავს დაესხა ესპანეთის სახალხო ფრონტის მისასალმებლად მოწვეულ მიტინგს და დააპატიმრა 18 კაცი.

#სრულიად კანადის სოციალ-დემოკრატიულმა ყრილობამ, რომელიც ქალაქ ტორონტოში შედგა, მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც გამოთქმულია სიმპატიები ესპანეთის ხალხის მიმართ.

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

კონსტიტუციის პროექტის განხილვა სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (აჭარა).

ფოტო—კ. [illegible]

ხმა მთიდან

კავკასიონის მუდამ თოვლიანი მწვერვალების გაღმა-გამოღმა მოშიშვლებული ალპური ველები ზაფხულობით დიდძალ ცხვრის ფარას იზიდავს. ყველაზე მიყრუებული საძოვრებია აქ — ორთული, განძა და ლეკისმთა. ქვემოდ უღრანი ტყეებია და უგზო-უკვლო ადგილები აშორებენ ამ საძოვრებს დიდი ბარიდან. ორთულში, განძაში და ლეკისმთაში წელს დაბინავებულია სიღნაღის რაიონიდან წაყვანილი ცხვარი.

20 ივლისს მწყემსების ბინებს შორის ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა:

— ბარიდან კაცი ამოვიდა, ახალი ამბავი მოიტანა, შევგროვდეთ კრებაზე.

დაიწყეს თავისმოყრა მწყემსებმა მრავალი კილომეტრით ერთი მეორესაგან დაშორებული ბინებიდან. ბარიდან ამოსულმა მახარობელმა მწყემსებს გააცნო ახალი სტალინური კონსტიტუციის შინაარსი და ყველას დაურიგა კონსტიტუციის პროექტის წიგნაკები. აუწერელი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ახალმა კონსტიტუციამ მწყემსებში. ისინი ამბობდნენ:

— კარგ დროებას მოვესწარით, აღარ არიან მდიდრები და ღარიბები, დაჩაგრულები და დამჩაგვრელები. საყოველთაოდ ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების დრო დადგა. ყველაფერს ამას ჩვენ ვუმადლით ჩვენს საყვარელ სტალინს, რომელიც წინ მიუძღვის მთელ ქვეყანას.

მწყემსებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ დაეწყო კონსტიტუციის მუხლობრივად შესწავლა ჯგუფებში, ბინებზე. მზე გადიხარა, როცა მიტინგი დამთავრდა და მწყემსთა ჯგუფები თავთავიანთი ბინებისაკენ გაეშურნენ. დიდხანს ისმოდა შორით მიმავალი მწყემსების სიმღერა:

— მთის ნიავმა დაუქროლააა
ნიშანია დარისაოოო...
კოლექტივი გაძლიერდააა
ვენაცვალე სტალინსაოოო...

ბუმბერაზი მთებიდან ეხოდ მოისმოდა კახელთა სიმღერის გამოძახილი.

ა. ჭულაშვილი

დამატებანი და შესწორებანი

კონსტიტუციის პროექტის მე-20 მუხლში აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაში, როცა მოკავშირე რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმება საერთო-საკავშირო კანონს, მოქმედებს საერთო-საკავშირო კანონი“. ამ მუხლს საჭიროა დაემატოს: თუ ეს განსხვავება გამოწვეული არაა ადგილობრივი სპეციფიკური პირობებით.

მე-114 მუხლში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის პროკურორი ინიშნება 7 წლის ვადით. საჭიროა ამავე ვადით ინიშნებოდნენ რესპუბლიკათა პროკურორებიც. მუშაობის ვადის გახანგრძლივება ხელს შეუწყობს მათი ავტორიტეტის ზრდას მოსახლეობაში.

შ. შარაშენიძე.

○

საჭიროდ მიმაჩნია კონსტიტუციის მე-119 და მე-120 მუხლებში აღნიშნული უფლებები (დასვენებისა და მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში) გავრცელდეს კოლმეურნეებზედაც.

ესტატე კოკაია

ქობულეთელ მუშების გამოძახილი

ქობულეთის ჩაის ფაბრიკის მუშებმა უკვე დაამთავრეს ახალი კონსტიტუციის პროექტის საფუძვლიანი შესწავლა. წინასწარ, სანამ კონსტიტუციის შესწავლას შეუდგებოდნენ, მოიწვიეს მუშათა საერთო კრება, კოლექტიურად წაიკითხეს კონსტიტუცია და განმარტეს მისი თითოეული მუხლი.

ფაბრიკის მუშებმა ერთხმად მოიწონეს კონსტიტუცია და აღნიშნეს, რომ იგი საბჭოთა სახელმწიფოს საბოლოოდ განმტკიცების უტყუარი დოკუმენტია. ახალი კონსტიტუცია აკანონებს ჩვენში საყოველთაო ბედნიერ და შეძლებულ ცხოვრებას, რომელიც განახორციელა ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი ბელადის — ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

გრძელდება მუშათა წინადადებების შეგროვება კონსტიტუციის პროექტში ახალი დამატებებისა და შესწორებების შეტანის შესახებ.

ამ. სვანიძე.

სვანები უმღერიან სტალინურ კონსტიტუციას

(წერილი სვანეთიდან)

ახალმა კონსტიტუციამ სვანეთში ყველა გაახარა. ყოველ სოფელში, ყოველ უბანში მოსახლეობა დიდი ხალისით ესწრებოდა კონსტიტუციის პროექტის კოლექტიურად წაკითხვას. კონსტიტუციის პროექტის ბროშურები ჩამოიტანეს თვითმფრინავით და დაარიგეს სოფლებში.

სვანებს განსაკუთრებით მოსწონთ კონსტიტუციის მე-8 და მე-9 მუხლები. დამატებებისა და წინადადებების შეგროვება გრძელდება.

ახალი კონსტიტუციის შესახებ სვანებმა სიმღერები გამოსთქვეს. ყველაზე პოპულარულია „დიდება ბელადს“, რომელიც ასე თავდება:

მთაზე ნისლი აღარაა,
მზე შუქს გვფენს და არ ბნელდება;
ბელადი დიდ ხანს იცოცხლებს
სტალინს მზე შეაბერდება.

ლ. ასათიანი

ამომრჩეველთა დავალებას არ ასრულებენ

სოფ. მცხეთის მოსახლეობამ არჩევნების დროს სას. საბჭოს დაავალა: „რადგან მოსახლეობა უწყლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის, გაყვანილ იქნას ახალი მილები“.

უკვე ორი წელი გავიდა, ამომრჩეველთა ეს დავალება კი დღესაც არ შეუსრულებიათ. მცხეთის მცხოვრებნი უწყლობით უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიან, რადგან გაზაფხულის წყალდიდობამ ძველი მილებიც დაგლიჯა. ხალხი წყლის მოსატანად მცხეთის რკინიგზაზე დადის, რომელიც სოფელს კილომეტრნახევრით არის დაშორებული.

როდემდე უნდა ვითმინოთ უწყლობა? სოფ. საბჭო და ტფილისის გარეუბნის რაიაღმასკომი რატომ არ ასრულებენ ამომრჩეველთა დავალებას?

მოვითხოვ ამომრჩეველთა დავალების შესრულებას. მცხეთის მოსახლეობას სასმელი წყალი საკმაო რაოდენობით უნდა ჰქონდეს.

ანდრო გარსევანიშვილი.

პროფ. გ. ნანეიშვილი

ახალი კონსტიტუციის პროექტი და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხი

საკითხს თუ ზერელედ შევხედავთ, შეიძლება ვინმეს კიდეც ეგონოს, რომ კონსტიტუციის ახალ პროექტში აქა-იქ მოცემულია დებულებანი, რომელთა მსგავსს თითქოს ბურჟუაზიულ კონსტიტუციებშიც ვხვდებით. მაგალითად, ფარული, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების შესახებ ლაპარაკია როგორც ჩვენთან, ისე იმათთანაც. სიტყვის, კრებების და ბეჭდვის თავისუფლების შესახებ ლაპარაკობს როგორც ჩვენი, ახალი კონსტიტუციის პროექტი, ისე იმათი კონსტიტუციებიც. მოსამართლის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკია აქაც და იქაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის საერთო მაინც არაფერია. ჩვენს პირობებში, ჩვენს სინამდვილეში ყველა ეს პრინციპები სულ ახალ მნიშვნელობას იღებენ. სიტყვის თავისუფლება, რომელზედაც ჩვენი კონსტიტუციის პროექტი ლაპარაკობს, სხვას ნიშნავს, ვიდრე ბურჟუაზიული კონსტიტუციებით აღიარებული სიტყვის თავისუფლება, დებულება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ ჩვენთან სულ სხვა რამეს გამოხატავს, ვიდრე იგივე პრინციპი გამოხატავს ბურჟუაზიულ ქვეყნებში, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველივე პრინციპი, რომელიც ჩვენი კონსტიტუციის პროექტით არის აღიარებული, რეალური პრინციპია. ყოველი თავისუფლება, რომელიც მის მიერ აღიარებულია, ნამდვილი თავისუფლების გამომხატველია და ყოველი დებულება, რომელიც მოსამართლის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს, მოსამართლის რეალურ დამოუკიდებლობას გულისხმობს.

ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტის 112 მუხლი აღნიშნავს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან, ანალოგიურ დებულებას ჩვენ ვხვდებით თითქმის ყველა თანამედროვე და მე-19 საუკუნის კონსტიტუციებში. მაგალითად, ამავეს იმეორებს ავსტრიის ძველი კონსტიტუციის 6 მუხ., ბავარიის კონსტიტუციის 3, ბელგიის 100, საბერძნეთის 88, დანიის 73, ესპანეთის 8, იტალიის ძველი კონსტიტუციის 69, სერბიის 167 მუხლი. ინგლისში ეს პრინციპი პირველად აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ 1701 წელს. გერმანიაში ეს პრინციპი დიდიხანია ცნობილი იყო როგორც საჯარო სამართლის ერთერთი ძირითადი პრინციპი. 1918 წ. ვეიმარის კონსტიტუცია აღნიშნავდა, რომ სასამართლო ხელისუფლება განხორციელებულ იქნება მხოლოდ კანონს დამორჩილებული მოსამართლეების მიერო, და ამ პრინციპის გარანტიისათვის ამავე კონსტიტუციის 104 მუხლი ადგენდა, რომ მოსამართლე ინიშნება მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. წინააღმდეგ მისი სურვილისა, ის შეიძლება მოხსნილ ან სხვა ადგილზე გადაყვანილ იქნას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით. საფრანგეთში მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე კერძოდ ლაპარაკობდა 1790 წლ. კანონი, მე-8 წლის კანონი, 1814 წლის რესტავრაციის ხარტია, 1830 წლ. მონარქიული და 1848 წლის კონსტიტუციები. ის შეტანილია 1870 წლის 21 მაისის კონსტიტუციაში, ხოლო 1875 წლის კონსტიტუციაში მის შესახებ აღარ არის ლაპარაკი.

„სანამ მოსამართლისათვის აღიარებული არ იქნება შეუცვლელობა, მოსამართლის მიუდგომლობაში არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, იმისთვის, რომ ეს არიდებულ იქნას, არსებობს ერთი საშუალება — მოსამართლეთა შეუცვლელობა“ ამბობს ვასკოვსკი. შეუცვლელობის პრინციპი, კარსონეს აზრით, „მოსამართლეს აძლევს გაბედულებას წინ აღუდგეს ყოველ თხოვნას და მუქარას, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ისინი, აძლევს მას გაბედულებას ყური უგდოს მხოლოდ თავის სინიდისს და დასაჯოს ყოველი დამნაშავე, რა მაღალი თანამდებობისაც უნდა იყოს უკანასკნელი“. „შეუცვლელობა აუცილებელია მოსამართლისათვის როგორც დაცვა, მოდავისათვის როგორც გარანტია, ის აუცილებელია მმართველობის ღირსებისათვის და კანონის სიწმინდისათვის“, სწერდა სიმონი, შეუცვლელობის გარეშე, ამბობდა ჟიულ ფაბრი, „მოსამართლე არ არის მოსამართლე, ის სამინისტროს აგენტია“. „მე არ მინდა, პათეტიურად აღნიშნავდა გამბეტა, მოსამართლედ მყავდეს ისეთი ადამიანი, რომელიც შეიძლება მოხსნილ იქნას თვითნებურად, იარაღი იქნება მთავრობის ხელში, ვერ გაბედავს სხვა გადაწყვეტილების გამოტანას, გარდა ისეთისა, რომელიც მთავრობის მიერ იქნებოდა ნაკარნახევი. ასეთი მოსამართლეები ჩემში ზიზღს და პროტესტებს გამოიწვევდნენ“. „კანონები, ამბობს ლუასო, მუნჯი მოსამართლენი არიან, ხოლო მოსამართლენი, რომლებიც მოლაპარაკე კანონები არიან, უნდა იყვნენ შეურყეველნი, რათა მათთან ერთად თვით სახელმწიფო შეურყეველი იყოს“.

ბევრი ამგვარი და კიდევ უფრო პათეტიური განცხადებების მოყვანა შეიძლებოდა ბურჟუაზიული მეცნიერებიდან, მაგრამ ესეც საკმარისია. ძნელი არ არის იმის შენიშვნა, რომ ყველა ამ სიტყვებში ერთი ლეიტმოტივი ისმის, ერთი და იგივე იგულისხმება: 1) რომ მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი იცავს მოსამართლეს ხელისუფლებისაგან, რომლის მიერაც ის დანიშნულია; 2) რომ მხოლოდ ამ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ მოსამართლეს შეუძლია იმ კანონის მსახური იყოს, რომელიც თითქოს მიუდგომელია (ესე იგი ზეკლასიურია); 3) რომ მხოლოდ ამ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობაში შეიძლება მოქმედებდეს მოსამართლე თავისი სინიდისის მიხედვით, რომელიც საყოველთაო სინდისის გამომხატველად იგულისხმება.

ნათელია, რომ ყველაფერი ეს ერთ ყალბ დებულებაზეა აგებული. დამოუკიდებელი მოსამართლე კლასობრივ საზოგადოებაში ცარიელი ფიქციაა. ხოლო საყოველთაო სინდისი, რომელიც თითქოს ყველას სინიდისის გამომხატველია, არაფრის შემცველი ცნებაა, როგორც მაგალითად რუსოს „საერთო ნება“, იურისტთა ისტორიული სკოლის „საერთო შეგნება“ და „საერთო სული“. კლასობრივ საზოგადოებაში მოსამართლე ყოველთვის თავისი კლასის სინდისის გამომხატველი იყო და იქნება. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. „როგორ შეიძლება ეს სხვანაირად იყოს, სწერდა ფ. ენგელსი, როდესაც მომრიგებელი მოსამართლენი, ისევე როგორც ნაფიცი მსაჯულნი, თვითონ არიან მდიდრები, თვითონ არიან არჩეული საშუალო კლასიდან. ამიტომ ისინი ყოველთვის მიკერძოებული არიან თავიანთ მსგავს პიროვნებათადმი, ღარიბებისათვის კი დაბადებით შეურიგებელ მტრებად გამოდიან“. ეს რომ ასეა, რომ ეს ყოველთვის ასე ყოფილა, ამაში სულ ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ.

თანამედროვე ბურჟუაზიული კანონმდებლობა, როგორც ცნობილია, თავის მოსამართლეებს დიდ თავისუფლებას ანიჭებს. თითქმის ყველა თანამედროვე ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლის წინაშე დასმული საკითხი მოქმედი სამართლის მიერ არ არის გათვალისწინებული, მოსამართლემ ეს საკითხი უნდა მოაგვაროს თავისი სინიდისის და შინაგანი რწმენის მიხედვით. ასეთი თავისუფლებით მოსამართლე სარგებლობს მაშინაც, როდესაც ის იყენებს იმ ზოგად, კაუჩუკისებურ ნორმებს, რომლებიც უამრავია თანამედროვე ბურჟუაზიულ კოდექსებში. და აღსანიშნავი აქ სწორედ ის არის რომ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ეს კოდექსი ნახევარ საუკუნეზე მეტია სამოქმედოდ არის შემოღებული და ამ ხნის განმავლობაში ათასობით და ათიათასობით ბურჟუაზიულ მოსამართლის მიერ გახილული ყოფილა დაქირავების, გაფიცვების, ლოკაუტების, დამქირავებლის მიერ სამუშაო დღის დარღვევის, ზარალის ანაზღაურების და სხვა საკითხები, არ ყოფილა შემთხვევა, რომ თავის სინიდისზე მიტოვებულ ბურჟუაზიულ მოსამართლეს გამოეტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ბურჟუაზიული კლასისათვის არსებითად მიუღებელი ყოფილიყო. ამ სფეროშიაც, არამც თუ მოფიქრებულად, განზრახ, არამედ შემთხვევითაც კი ბურჟუაზიულ მოსამართლეს არ დასცდენია სიტყვა, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უსამართლობის თუნდაც ერთ პატარა მხარეს გაამხელდა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის მიერ ჩადენილი უსამართლობა ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ გამოდგომოდა. სამართლის კლასობრივი ხასიათი, რომელიც ამ მოსამართლეებმა უნდა დაიცვან, მათი დანიშვნის წესები რომლებიც შეუძლებლად ხდიან მოსამართლის სკამზე სხვა ვინმე იჯდეს, თუ არა ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელი, ათასნაირი სხვადასხვა საშუალებანი, რომლებიც ხელისუფლებას გააჩნია მოსამართლეებზე ზემოქმედებისათვის და მათი ენტუზიაზმის ყოველთვის ერთი მიმართულებით გაღვივებისათვის, ყველაფერი ეს ჰქმნიდა და ჰქმნის იმას, რომ ბურჟუაზიული მოსამართლისათვის შეუძლებელია სინიდისის მიხედვით იმუშაოს არა ისე, როგორც ამას ითხოვს მისი წარმომშობ კლასის ინტერესები.

ბურჟუაზიულ კლასს რომ მართლაც არ სურს ჰყავდეს თავისი კლასის სინდისისაგან დამოუკიდებელი სინიდისის მქონე მოსამართლე, ამის საუკეთესო მაჩვენებელია ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებული მოსამართლის დანიშვნის და არჩევის წესები. ვინ არ იცის, რომ ამ უკანასკნელთა გამო მშრომელი კლასის წარმომადგენლისათვის მოსამართლის სკამი ისევე მიუწვდომელია, როგორც, მაგალითად, რომის პაპის სკამი არა კათოლიკეთათვის. ამიტომაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბურჟუაზიული სასამართლოს პოლიტიკა ერთხელაც დარღვეულიყო მოსამართლის სკამზე მჯდომი პირის მიერ.

ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ხშირად ბევრი რამ თქმულა ბრალდებულთა სკამიდან, მაგრამ მოსამართლის სკამიდან კი არასოდეს. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსამართლეები „შეუცვლელი“ და „დამოუკიდებელი“ არიან, სანამ თავიანთი ხელისუფლების დავალებას კარგად ასრულებენ. არც ყოფილა შემთხვევა, რომ ამ პრინციპით თავი გადაერჩინოს მოსამართლეს, რომელიც ამ ხელისუფლებას არ მოსწონებია. მოსამართლის შეუცვლელობის და დამოუკიდებლობის პრინციპს ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები აზვიადებდნენ, აღიდებდნენ და, როგორც ერთ-ერთ წმინდათა წმინდა პრინციპს, ამკვიდრებდნენ სანამ ეს პრინციპი მათთვისვე იყო სასარგებლო, სანამ ისინი ერთგული მოსამართლეების ჯილდოს ხასიათს ატარებდნენ. მაგრამ რა წუთშიც ამ ერთგულებაში ეჭვი იქნებოდა შეტანილი, ეს პრინციპი დავიწყებას ეძლეოდა. ამ შემთხვევაში აღნიშნული პრინციპები არამც თუ ხელს უშლიდა, არამედ აჩქარებდა კიდეც არასასურველ მოსამართლეთა თავიდან მოცილებას.

ვინ მოსთვლის ყველა იმ შემთხვევას, როდესაც ბურჟუაზიულ ხელისუფლებას ამ პრინციპის წინააღმდეგ უმოქმედნია? ვინ მოსთვლის ყველა იმ შემთხვევას, რომლებიც ნათელყოფენ, რომ ხელისუფლების მიერ მოსამართლეთა შეუცვლელობა აღიარებული ყოფილა მხოლოდ დროებით, როგორც ჯილდო აბსოლუტური ერთგულებისათვის. მაგალითად, 1807 წლის ნაპოლეონმა გამოაცხადა, რომ შეუცვლელობა ხუთი წლის შემდეგ ეძლევა მხოლოდ იმ დანიშნულ მოსამართლეებს, რომლებსაც მისი უდიდესობა სცნობს ღირსეულადო. 1814 წლის რესტავრაციის ხარტიით შეუცვლელობის პრინციპი აღდგენილი იყო მხოლოდ მეფის მიერ დანიშნულ მოსამართლეებისათვის, რომლებიც მონარქიისადმი ერთგულებას დაამტკიცებდნენ. 1830 და 1848 წლ. კონსტიტუციებმა ხელახლა აღიარეს მოსამართლეთა შეუცვლელობა და დამოუკიდებლობა, მაგრამ როდესაც ლუი ნაპოლეონის დიქტატურის დროს საჭიროებამ მოიტანა, ეს პრინციპი ხელახლა დარღვეულ იქნა. „შეუცვლელობის პრინციპმა ადგილი უნდა დაუთმოს რეალური ვითარების ძალას“, სწერდა იმდროინდელი იუსტიციის მინისტრი. 1852 წლის კონსტიტუცია ამ მოსაზრებით მოსამართლეთა შეუცვლელობის შესახებ არაფერს ამბობდა. 1870 წლის კონსტიტუციაში ის ხელახლა იქნა აღიარებული, ხოლო 1875 წლის კონსტიტუციამ მართალია ის აღარ გაიმეორა, მაგრამ ის პრინციპი მაინც საჯარო სამართლის პრინციპად რჩებოდა. ამიტომ, როდესაც 1883 წელს მთავრობას დასჭირდა ამ პრინციპის მოქმედების სამი თვით შეჩერება, რათა გადაყენებული ყოფილიყვნენ მოსამართლეები, რომლებიც მთავრობის აზრით, რესპუბლიკისადმი სათანადო ერთგულებას ვერ იჩენდნენ, ამის შესახებ მოურიდებლად მან სპეციალური კანონი გამოსცა.

ასე ექცეოდა ყოველი ხელისუფლება მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპს. ფაშისტური ხელისუფლების ერთ-ერთი პირველ ნაბიჯთაგანიც ყოველთვის ძველი მოსამართლეების მასობრივი გადაყენება და მათ ადგილას „კეთილსაიმედო“ ფაშისტების დანიშვნა იყო.

ჩვენი მოსამართლე მთელი მშრომელი ხალხის მოსამართლეა. ამის საფუძველი ჩვენში ისეთი ფართო დემოკრატიაა, როგორიც ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოს არც დასიზმრებია. ხელისუფლება და სასამართლო ჩვენთან ამ ხალხის ერთნაირი მსახურნი არიან. ბუნებრივია, რომ ჩვენი მოსამართლე დამოკიდებულია მხოლოდ იმ კანონისაგან, რომელიც ამ მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველია.

ამრიგად, თუ ბურჟუაზიული მოსამართლე დამოკიდებულია ექსპლოატატორთა კლასისაგან და ცხოვრებაში ატარებს ამ კლასის სამართალს, რომელიც აკანონებს საწარმოო იარაღების კერძო საკუთრებას, აკანონებს სიკვდილს მათთვის, ვინც ამ საკუთრების წინააღმდეგ ილაშქ-

სტახანოველის ტრიბუნა

მეტის გაკეთება შემიძლია

სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის ამწყობ საამქროს ცილინდრების სასტატოში ვმუშაობ. შრომა თავიდანვე მიტაცებდა. ახლა მე-8 თანრიგის ზეინკალი ვარ. ეს თანრიგი ყველაზე მაღალია. სტახანოვურ მოძრაობაში, რომ ჩავები, დამაწინაურეს ბრიგადირად. ბრიგადაში 11 კაცის ნაცვლად 9 ვმუშაობთ და გეგმის შესრულება 400-დან 600 პროცენტამდე ავიყვანეთ ეს იმის შედეგია, რომ მოვაწესრიგეთ შრომა, სამუშაო გავანაწილეთ ბრიგადის წევრებს შორის და კარგად მოვაწყვეთ სამუშაო ადგილი.

ჩვენთან ხშირი იყო საყვედურები — ცილინდრები მზად არ არისო, ორთქლმავლების ჩაბარება ფერხდებაო, მაგრამ მივაღწიეთ იმას, რომ ცილინდრების შეკეთება დღეს ვიწრო ადგილს აღარ წარმოადგენს. შემძლია კიდევ უკეთ ვიმუშაო, მაგრამ ბევრი რამ მიშლის ხელს. ხშირად ვცდები, ამ უკანასკნელ დროს გეგმის შესრულების მაჩვენებლებმაც დაიწია.

ქვაბებს ვერ მაწვდიან დროზე. ხშირად გამზადებული ცილინდრებით ელოდები ქვაბებს. ცილინდრებზე საჭიროა 140 მილიმეტრის სიგრძე და 145 მილიმეტრი სამსხო ჰანჭიკები. ამ ზომის ჰანჭიკები საწყობს ხშირად არა აქვს, მის ნაცვლად გვაწვდიან უხარისხო ჰანჭიკს, რომლის დამუშავებაზე სამჯერ მეტი დრო გვეხარჯება.

ჩამომსხმელ საამქროში ცილინდრები ხშირად წუნდებული გამოდის, ზოგჯერ დასადუღებელი ცილინდრი რამდენიმე დღეს ხელუხლებლად გდია ელექტროშემდუღებელ საამქროში. მაგალითად, №451 ორთქლმავლის ცილინდრის მილისა („ვტულკა") ჩამოასხეს ჩამომსხმელ საამქროში (უფროსი ამხ. ნევეროვსკი, ოსტატი რაზმაძე). იგი გახარხვის შემდეგ წუნდებული აღმოჩნდა.

ხშირად დამხმარე საამქროებიდან დროზე არ გადმოაქვთ დამზადებული ცილინდრები, მაგალითად, № 683—05 ორთქლმავლის ცილინდრის ამწყობ საამქროში გადმოტანა ვერ მოხერხდა. როცა უფროს მუშას ამხ. გრძელიშვილს მივმართეთ გადმოეტანა ცილინდრი, მან მითხრა—„ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ, შენთვის არა სცალია ელექტრომზიდს და, ესეც რომ არ იყოს შენი სიტყვით ვერ გადმოვიტანო, და ცარიელი ელექტრომზიდი გზას გაუყენა.

სწორედ საქმის ასეთი უგულებელყოფისა და უპასუხისმგებლობის შედეგი იყო, რომ ივნისში დავამზადე მხოლოდ 7 ორთქლმავლის ცილინდრი, მაშინ როცა შემეძლო 18 ორთქლმავლის ცილინდრის დამზადება.

მართალია ივლისში საქმე წინ წავიდა, ამ თვის გეგმით გათვალისწინებული 13 ორთქლმავლის ცილინდრების ნაცვლად 22 ივლისისათვის დამზადებული მქონდა 10 ორთქლმავლის ცილინდრი, მაგრამ გადაჭრით ვამბობ: თვეში გავაკეთებ 18 ორთქლმავლის ცილინდრს, საამქროს ხელმძღვანელობა კარგად რომ მიწყობდეს ხელს, მასალასა და ქვაბს თავის დროზე რომ მაწვდიდნენ.

მთავარია ის, რომ საცილინდრო სასტატოში მოეწყოს ცილინდრების შედუღება, რაც თვითეულ ცილინდრზე საშუალოდ შეამცირებს სამუშაო დღეს. ბრიგადაში გვაქვს ცილინდრების ხელით ასაწევი ონკანი, რომლით მუშაობასაც მიაქვს ზედმეტი დრო. წინადადებას ვიძლევი ელექტროფიცირებულ იქნას ეს ონკანი. ამით დიდ დროს მოვიგებთ.

ჩვენ ბლომად გვჭირდება ჰანჭიკები და სარჭები. ამაზე მუშაობს ამხ. ვასო ბერიაშვილი. ყოველი ჰანჭიკის გაკეთებაზე გვიხდება მასთან სიარული და სამუშაო დროის გაცდენა. საქმისათვის კი უმჯობესი იქნება ჰანჭიკებისა და სარჭების საჩარხი დაზგის დადგმა საცილინდრო სასტატოში, ამითაც დიდ დროს მოვიგებთ.

მე აქეთკენ მივაქცევ საამქროს ხელმძღვანელობისა და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის ყურადღებას, რომ მეტი დახმარებით ბევრი და უკეთესი საქმე გავაკეთო.

სანდრო ჯავახიშვილი.
სტალინის სახ. ორთქლმავალ შემკეთებელი ქარხნის სტახანოველი

მომეცით გასაქანი!

რუსუდან ქორდანია

ტფილისის აეროკლუბის საავიაციო სკოლა რომ დავამთავრე, იქვე დამტოვეს უმცროს ინსტრუქტორად და ჩამაბარეს მომავალ მფრინავთა ჯგუფი 10 კაცის შემადგენლობით. მრცხვენოდა თქმა, რომ ინსტრუქტორ-მფრინავს ერთხელაც არ მიფრენია დამოუკიდებლად, არც ერთ შორეულ გადაფრენაში არ მიმიღია მონაწილეობა. როცა ვთხოვდი ტფილისის აეროკლუბის ხელმძღვანელებს მოეცათ ჩემთვის თუნდაც მოკლე მანძილზე დამოუკიდებლად ფრენის უფლება—მეუბნებოდნენ: დაეტიე შენს ტყავში, რა დროს გადაფრენაა, სხვა საქმეები გვაქვს მოსაგვარებელიო. მფრინავების გაწვრთნაზე უფრო სერიოზული რა საქმე უნდა ჰქონდეს აეროკლუბს? — ეს ჩემთვის გაუგებარია. საქმე ის არის, რომ არ სურდათ ახალგაზრდა მფრინავების წინსვლა.

„კომუნისტის" 26 ივლისის ნომერში მოთავსებულმა მფრინავ ნიკ. ჯიბლაძის წერილმა „გასაქანი მიეცით საავიაციო სპორტს"—გავლენა მოახდინა აეროკლუბის ხელმძღვანელებზე და, როგორც იქნა, ამ წერილის შემდეგ დამრთეს ნება ნათლუღიდან გადავფრენილიყავი მოკლე მანძილზე. ეს იყო ჩემი პირველი გადაფრენა და ვშიშობ უკანასკნელიც არ იქნეს, რადგან არავინ უწყის „გვენდობიან" თუ არა ახალგაზრდა მფრინავებს ჩვენი აეროკლუბელები.

ამხ. ჯიბლაძე სწორად აყენებს საკითხს: საავიაციო სპორტის განვითარებას მოითხოვს ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების ინტერესები, ამას მოითხოვს საავიაციო კულტურის მასებში დანერგვის ინტერესი. თუ აეროკლუბის ხელმძღვანელები, ან სხვა ვინმე ამ საქმეში ხელს შეგვიშლიან, თუ მფრინავების წინსვლისა და ტექნიკური მომზადების დაბრკოლებას ვინმე განიზრახავს—ჩვენ მას უნდა ვუპასუხოთ როგორც ხელისშემშლელს, როგორც მტერს და არა მეგობარს.

ასეთია მარტო ჩემი კი არა, ყველა იმ ახალგაზრდა მფრინავის აზრი, რომლებმაც ფრენოსნობა ისწავლეს და რომელთაც ჯერჯერობით გასაქანს არ აძლევენ.

№ ქართული მსროლელი ლეგიონი—პარტდღისთვის მზადება.
სურათზე: კომუნისტ მეთაურთა ჯგუფი კოლექტიურად ემზადება მორიგი პარტდღისთვის, რომლის დღის წესრიგშია საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს ივნისის პლენუმის შედეგები.
ფოტო ხერედისა

კურორტი ლებარდე

კურორტი ლებარდე მთის ჰაერთან და მზის უხვ სხივებთან ერთად, დაჯილდოვებულია ცივი და სამკურნალო მინერალური წყაროებით. მდებარეობს მაღალმთიან კურორტთა ზონაში, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე. სოფ. გეგეჭკორიდან (ყოფ. მარტვილი) ლებარდემდე საავტომობილო გზაა, დანარჩენი 27 კილომეტრი კი ცხენით სავალი ბილიკია, რომელიც მიიმართება მდინარე ტეხურის ხეობის გასწვრივ. აგარაკის ფართობი 1280 ჰექტარს უდრის. აქედან ნახევარზე მეტი ფიჭვნაძვნარით არის დაფარული, 20 ჰექტარი პარკს უჭირავს, 560 ჰექტარს კი საძოვრებისათვის იყენებენ. როგორც აგარაკს ლებარდეს 1905 წლიდან იცნობენ. აგარაკის კეთილმოწყობაზე წინათ არავინ ზრუნავდა. სახლები უწესრიგოდ და უგეგმოდ შენდებოდა. უკანასკნელ ხანებში გეგეჭკორის რაიაღმასკომმა შედარებით მოაწესრიგა და გააუმჯობესა ეს აგარაკი. სეზონური კარვების ნაცვლად აქ არის სტანდარტული სახლები, მოწყობილია ამბულატორია, აფთიაქი, მეტეოროლოგიური სადგური, სასადილო, კოოპერატიული დაწესებულებანი, ფურნე, ფოსტა და სხვ. სააგარაკოდ ჩამოდიან სამეგრელოს, იმერეთის და აფხაზეთის რაიონებიდან, ნაწილობრივ ტფილისიდანაც. ცხადია, ერთ რაიონს საკუთარი სახსრებით არ შეუძლია აგარაკის კეთილმოწყობა. ეს განსაკუთრებით ითქმის გზისა და ბინების შესახებ.

ლებარდეში ორი მინერალური წყაროა: პირველი წყაროს დებეტი დღე - ღამეში 2.000 ვედროს უდრის, ტემპერატურა — 8,5 გრადუს რადიოაქტივობა — 1,93-ს. მეორე წყაროს დებეტი 2400 ვედროს შეადგენს. რადიაქტივობა 2, 1-ს. ორივე წყარო შეიცავს დიდი რაოდენობის რკინას, ნატრიუმის, კალიუმის, მაგნიუმის და სხვა მარილებს. ეს წყაროები 1926 წელს გამოიკვლია ქიმიკოსმა კუპცისმა.

კურორტის ჰავა საკმაოდ მშრალია, სეზონში მზიანი დღეები სჭარბობს, ქარი და წვიმა იშვიათად იცის. ოზონით მდიდარი და ფიჭვის არომატით გაჟღენთილი მთის ჰავა, ფიჭვ - ნაძვნარით დაფარული მთები, მზის იისფერი სხივების სიუხვე, რკინიანი მჟავე წყალი, გრძნობების დამამშვიდებელი სიჩუმე, მომხიბლავი ბუნება ისეთ პირობებს ჰქმნიან, რომ ორგანიზმის პოტენციური ენერგია აქტიურში გადადის.

ლებარდე ძალიან უხდება დაავადებულთ: ქრონიკული მალარიით, საერთო სისუსტით, სისხლნაკლულობით, დაწყებითი და პირველი სტადიის ტუბერკულოზით, ნევრასტენიით კუჭის სიმჟავის სიმცირითა და კატარით. ლებარდეში სანიტარული მუშაობა მოისუსტებს. ამიტომაც არის, რომ მოაგარაკენი წყალს უწესოდ იყენებენ, სვამენ რაც შეიძლება ბევრს, ზოგიერთი 25-30 ჩაის ჭიქასაც.

აგარაკის კეთილმოწყობისათვის საჭიროა მრავალი ღონისძიების განხორციელება. გზის შეკეთება - გაფართოვება (ტალერიდან კურორტამდის), სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა აგარაკის კლიმატურ - მინერალურ - ბალნეოლოგიური გამოკვლევისათვის, სანიტარული მუშაობის გაშლა და სხ. აგარაკზე არ არის სტაციონარი. ეს შეუძლებელს ხდის ავადმყოფთა კლინიკურ შესწავლას, ამის გამო ამბულატორიასთან საჭიროა 10 საწოლიანი სტაციონრის გახსნა.

როგორც აღვნიშნეთ, ლებარდე რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტია. საჭიროა კურორტთა სამმართველო შეუდგეს აგარაკის კეთილმოწყობას. ზოგიერთი ღონისძიება უკვე ხორციელდება. მაგალითად უკვე დაიწყო გზის შეკეთება-გაფართოვება.

ლებარდეს ირგვლივ ალპურ საძოვრებზე აყარებული საქონელი იყრის თავს. ეს მოაგარაკეებს უზრუნველყოფს რძის პროდუქტებითა და ხორცეულით. ლებარდის მიდამოები დაფარულია რამდენიმე ათეული ჰექტარი ულრანი ტყით. წაქცეული და ზეზეურად გამხმარი ხეები უსარგებლოდ ლპება. ცხადია, ხე-ტყის მასალა ბინების მშენებლობისათვის საკმაოზე მეტი გვექნება.

დღემდის კურორტთა სამმართველო ლებარდეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. თუ ზემო ჩამოთვლილი სამუშაოები შესრულდა, ლებარდე რიგულ კურორტთა შორის საპატიო ადგილის დაიჭერს.

ექ. შ. დარჯანია
გეგეჭკორის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე.

ხაშურში ლეწვას აჩქარებენ

მოსავლის აღება მთელ რაიონში გაცხარებით მიმდინარეობს. 1 აგვისტოსთვის მოსავალი აღებული იყო 12.750 ჰექტარზე (გეგმის 60 პროცენტი). მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შემჭიდროვებულ ვადებში აიღეს თავთავიან კულტურათა მოსავალი. მოწინავეთა რიგებში დგანან ქვენატკოცისა და გომის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები, სადაც მოსავალი მთელ ფართობზე აიღეს და გალეწილია აღებული პურის 60 პროცენტი.

საკოლმეურნეო მინდვრებზე მომუშავე კომბაინები საუკეთესოდ მუშაობენ. მოსავლის აღების გეგმა 75 პროცენტით კომბაინების მიერ უკვე შესრულებულია. კომბაინერები ნოზაძე და გულორაძე ყოველდღიურად იღებდნენ თვითეული 20—30 ჰექტარს ნაცვლად 12 ჰექტარისა.

საერთოდ რაიონში მარცვლეულის ლეწვა ჭიანურდება. გალეწილია 21 პროცენტი მთელი აღებული პურეულისა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სალეწი მანქანა არასრული დატვირთვით მუშაობს. კოლმეურნეობა „ოქტომბერში" სალეწი ვერ ასრულებს დღიურ ნორმას; ამხ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში სალეწი მანქანა მთელ დღის გაცდა. ხცისის სასოფლო საბჭოში ლეწვა პურის აღების მთლიანად დამთავრების შემდეგ დაიწყეს.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში დანაკარგებთან ბრძოლა ცუდად არის დაყენებული. კოლმეურნეობა „შრომაში" თავთავების ხელით შეგროვების შემდეგ მაინც დარჩა თავთავების თვალსაჩინო რაოდენობა.

მოსავლის აღების დაწყებისთანავე კოლმეურნეები შეუდგნენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებას. „ზაგოტზერნოს" მიმღებ პუნქტს კოლმეურნეებმა პურის ჩაბარებისა და მტსის ნატურანაზღაურების ანგარიშში 1-ლ აგვისტოსათვის ჩააბარეს 2.577 ცენტნერი მაღალხარისხოვანი მარცვალი.

ე. ქ.

გრიგოლ აროსია

სიმღერა

ცაზე მღერას ქარიშხალა
და ღრუბლები აშალნენ.
ფრენა ვერვინ დაგიშალა
გოგოვ ლამაზო!
მღერის,
მღერის
ქარიშხალა,
პარაშუტი გაიშალა.
გამბედავო ქალიშვილო
მზეც შუქს გთავაზობს.
გულში ლხენა დაგივლიდა
როს ხტებოდი კაბინიდან.
დაგინახე ამ დილითა
შეგადარე შველს.
ვით უსულო გავირინდე,
და ვუმზერდი ადგილიდან.
და ვუმზერდი ადგილიდან
შენს პარაშუტს ჭრელს.

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
შენ ლაჟვარდი დაამარცხე
მტერიც მიწას დაანარცხე.
დიდ-პატარამ,
ქალმა-კაცმა,
შენ პატივი გცა.
ცის კიდურა დაიხატა,
მზემ პერანგი გაიხადა
და შენც ფრენა გაგიხარდა
ეშვებოდა ძირს...
— რად ახვედი გოგოვ ცამდე?
ჩამოფრენას გილოცავენ,
გილოცავენ,
გილოცავენ,
შენ ფრთებშესხმულ გმირს.

მიმართვა

მახარაძის, ქობულეთის და ლანჩხუთის რაიონების ციტრუსების სანერგეთა გამგეების, მყნობელების, აგრო-ტექნიკური პერსონალისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა

ძვირფასო ამხანაგებო! ციტრუსების სანერგეთა მეურნეობის გამგეებო, მყნობელებო, აგრონომებო, აგროტექნიკოსებო და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებო! განხორციელება საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კომპარტიის (ბ) ც. კ-ის ისტორიული დადგენილებისა დასავლეთ საქართველოს შავიზღვის სანაპიროებზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობის გადიდების შესახებ სწრაფი ნაბიჯებით წინ მიაქანებს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეთა შეძლებულობის, მხიარული და საამური ცხოვრების საქმეს.

დასახული სტალინური პროგრამა 1940 წლის დასასრულისათვის ციტრუსების ფართობის 20.000 ჰექტარამდე აყვანის შესახებ სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეთა წინაშე აყენებს მეტად პასუხსაგებ ამოცანას—შევქმნან ციტრუსების სანიმუშო სანერგე მეურნეობა მაღალხარისხოვანი სარგავი მასალის მისაღებად. დასახული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ჩვენ ყოველგვარი პირობები მოგვეპოვება. საბჭოთა მთავრობა გვეხმარება ათეული და ასეული მილიონი მანეთით, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს გვაძლევს გრძელვადიან საწარმოო სესხს ციტრუსების პლანტაციებისა და სანერგეების გასაშენებლად. უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, მინერალური სასუქების შემოზიდვასა და უფასო აგროტექნიკურ მომსახურებას.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელის, საუკეთესო სტალინელის ამხ. **ლ. ბერიას** ყოველდღიური და კონკრეტული ხელმძღვანელობისა და უდიდესი დახმარების შედეგად წელს ჩვენ მივაღწიეთ საუკეთესო მაჩვენებლებს სანიმუშო სანერგე მეურნეობათა მოწყობაში, მაგრამ საჭიროა ამ წარმატებათა კიდევ უფრო განმტკიცება და ბრძოლა ახალი წარმატებისათვის.

ამჟამად იწყება მეტად პასუხსაგები მუშაობა. ეს არის ციტრუსები, საზაფხულო მყნობა, რომლის წარმატებით ჩატარებაზე დამოკიდებულია მაღალხარისხოვანი სტანდარტული ნერგების მიღება.

ახლა საქმე ჩვენზეა. საჭიროა ბეჯითი მუშაობა და მაშინ ჩვენ ბრწყინვალედ შევასრულებთ დაკისრებულ ამოცანას, გავამართლებთ ნდობას და იმ დახმარებას, რომელსაც ჩვენ გვიწევს პარტია, ხელისუფლება და პირადად დიდი ბელადი ამხ. სტალინი.

ვისახავთ რა მთავარ ამოცანად ციტრუსების საზაფხულო მყნობის გეგმის აუცილებელ შესრულებას, რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც, ნამყენთა 100 პროც. გახარებას და მაღალხარისხოვანი სარგავი მასალის მიღებას, ჩვენ, ციტრუსების სანერგე მეურნეობის სტახანოველები, ვღებულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

გამოვყოფთ სანერგე მეურნეობაში სპეციალურ მუდმივ ბრიგადას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა სამუშაოს შესრულებისათვის, დაწყებული სათესი სკოლის მოწყობიდან, დამთავრებული პლანტაციაში გადასარგავი 2 წლიანი ნერგის გამოყვანამდე.

დაუყოვნებლივ ჩავატარებთ ტრიფოლიატის საძირე მასალის აღრიცხვა-შემოწმებას, სუსტად განვითარებულ საძირე მასალაზე დავაწესებთ ყოველდღიურ მზრუნველობას, რითაც მივაღწევთ საძირე მასალის 100 პროცენტით გამოყენებას.

ჩაიის სანერგეები უკვე მიმაგრებულია ცალკეულ უბნებზე კალმების დასამზადებლად, ვკისრულობთ კალმები ავიღოთ აპრობირებულის სადედე ხეებიდან. ამ სამუშაოს შეასრულებენ დახელოვნებული კოლმეურნეები, რომლებმაც საუკეთესოდ იციან კალმების აჭრა. სანიმუშოდ მოვაწყობთ კალმების ადგილზე მიტანას. მყნობამდე დავიცავთ ყველა საკარანტინო წესს.

მყნობელების გაცდენის თავიდან აცილებისა და სამუშაო დროის სრულიად გამოყენებისათვის, მყნობელები დროულად იქნებიან მომარაგებულნი სამყენი მასალის საჭირო რაოდენობით (სამყენი დანები, რაფია, კალმების ჩასაწყობი ჩანთები, დანის ასალესი ქვები, დანის პირის ასაწყობი ღვედები).

სანერგე მეურნეობაში ძალთა სწორი განაწილებით, მყნობელთა ინდივიდუალური შერჩევითა და დასამყენ ნაკვეთებზე მიმაგრებით, დამყნილი მასალის სისტემატური შემოწმებით, გაუხარებელ საძირე მასალაზე განმეორებითი დამყნობით მივაღწევთ ნამყენთა 100 პროცენტით გახარებას.

ნამყენების შემდგომი მოვლისა და მათი გამოზამთრების საუკეთესო ორგანიზაციის დაყენებით, აგრეთვე აგროტექნიკური ღონისძიებათა სრული გატარებით მივიღებთ ერთიან მაღალხარისხოვან სტანდარტულ ნერგს არანაკლებ 90 პროცენტისა და ორწლიან მაღალხარისხოვან სტანდარტულ ნერგს სულ მცირე 85 პროცენტს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზემოჩამოთვლილი ვალდებულებათა ხარისხიანად შესრულება ყველა კოლმეურნისა და სპეციალისტის ღირსების საქმეს წარმოადგენს.

მოგიწოდებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდოთ ხელი ციტრუსების მყნობას და აუცილებლად მივაღწიოთ ნამყენთა სრულ გახარებას. ამით ჩვენ მტკიცე საძირკველს ჩაუყრით ციტრუსების ხუთწლიანი გეგმის სასახელოდ შესრულებას.

(ხელს აწერს 140 კაცი).

კომბინატორები

(ბათომი საქ. კორესპონდენტისაგან)

საქართველოს სახელგამის აჭარის განყოფილებას დასაბამიდანვე დირექტორობს „მზე და გამრჯე" ზაქარია მეგვია, მასთანავე ბუხჰალტერობს იასონ ჭავჭანიძე.

დასაბამიდან მუშაობენ ისინი აქ და ამ ხნის მანძილზე მათ არსად „რევიზიას" არ გაუვლია. ზოგიერთ დოკუმენტს უკვე გაუვიდა შენახვის ვადა სადაა, არსებული წესის თანახმად, ჯიდაპყრიან ამ დაობებულ საბუთებს, გააქვთ მათგან ჩალის პარკებს, საბავშო სათამაშოებს... დაწვავენ და განიავებენ ქაღალდებს, რომელთა „უმანკოებას" ჯერ არ შეხებია რევიზიის „ტლანქი" ხელი. ვის რაიად უნდა 1929-30 წლის დოკუმენტები? (არავის, გარდა პროკურატურისა, რომელიც ჯერ ჰორიზონტზე არა სჩანს).

აი, კუთხეში დიდ მაგიდასთან მაღალი, მუდამ ჩაფიქრებული კაცი რომ ზის, გვერდით საანგარიშო ჩოთქი და არითმომეტრი რომ უდევს—ის გახლავთ „დამსახურებული" ბუხჰალტერი იასონ ჭავჭანიძე.

ბევრი, ბევრი რამ იმალება ამ კაცის ცხოვრების არქივში, მის ჩაკეტილ და გალუქულ პაკებში.

ყვითელყდიან წიგნში დევს სუფთად შედგენილი ანგარიში 1935 წლის 28 დეკემბრის თარიღით და მეერთავე ნომრით. შიგ სწერია: „სახელგამის განყოფილებამ მიიღო № 2 მაღაზიიდან სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები 1.821 მანეთისა. ჩააბარა:—ვასო ელიაძე (№ 2 მაღაზიის გამგე, სახელგამის აჭარის განყოფილების დირექტორის ნათესავი), მიიღო—ვლადიმერ ტრაუბე (საკანცელარიო ნივთების № 1 მაღაზიის გამგე).

ჩააბარა, მიიღო, იასონმა ანგარიში შეადგინა. თითქოს სადავო არაფერია!

სინამდვილეში არავითარი საქონელი არც არავის ჩაუბარებია, არც არავის მიუღია. ეს თანხა შესდგა პატეფონებიდან, რომელნიც დირექტორმა ზაქარიამ თავის კაბინეტიდან გაჰყიდა. მყიდველებს ფული ნახევ ქაღალდებზე მიწერით სალაროში შეატანინა და შემდეგ თავისი ქაღალდებიც და ფულიც ტკბილად გამოართვა მოლარე დენს. (ჰკითხეთ მოლარეს), ვითომ № 2 მუსიკალურ განყოფილებაში წაიღო. სინამდვილეში კი ჯიბეში „ჩაიჩა". მაღაზიას ხომ დააკლდა ფული?

აი ამიტომ შესდგა ანგარიში: ჩააბარა—მიიღო.

1935 წლის 26 ნოემბერს იასონ ჭავჭანიძემ ჩააკერა საქმეში ანგარიში № 44 450 მანეთის თანხისა და ერთი პატეფონის შინისაკენ გატანა (ჰკითხეთ მოანგარიშე იასებ ძნელაძეს).

მარტო პატეფონი აბა რა საკადრისია დამსახურებული კაცისთვის. მაღაზია პიანინოებითაც სავსეა. და მან 1933 წელს პიანინოც წაიღო. (რა ვუყოთ, რომ ამისი არც ანგარიში არც დედანი არსებობს, არც ასლი!).

მერე და ბინას, სადაც პიანინო დგას, პარკეტი არ უნდა? პარკეტის ცხვირზე ხომ არ წაისვამს? და სახლისაკენ მიდის ერთი დარბაზისათვის საჭირო პარკეტი (ამას ანგარიში რათ უნდა?).

იასონს ყველაზე მეტად ტკბილი დავთარი უყვარს, სადაც მოხდენილად იმალება კარაქი. არ შეიძლება ამ წიგნის გადაშლის დროს პირზე ნერწყვი არ მოადგეს. ხელის განყოფილებიდან მოდის ანგარიში: გაყიდულია 1.500 მანეთის საქონელი. ანგარიშს თან კარაქი მოჰყვება. ამის ფული იასონმა ხელის განყოფილების მაშინდელ გამგეს სიხარულიძეს უნდა გაუგზავნოს თავისი ჯიბიდან. ფულს კი აგზავნის, მაგრამ რა ტყვის, რომ ანგარიშის ქვეშ დავთარში გაატარის 40 მანეთი, როგორც „სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები", მერიხავი № 117-ით?

ასეც აქცევდა იასონი და რამდენიმე ადგილზე ციფრების გვერდით ფანქრით აწერდა „ქ. რ.". ჯანდაბას, ვინ გაიგებს „ქ. რ." კარაქია თუ კარანდაშები. ესეც რომ არ იყოს, ახლა ანგარიშები დახეულია, ხელში გამგე მოხსნილია და დავთარშიაც „ქ. რ." ამოშლილია (ცალი დარჩენილია, მაგრამ ვინ დაუწყებს კითხვას?).

ნუ თუ დირექტორმა ეს არ იცოდა?

აი, ამერიკული მაგიდა. მას უზის მაღალი, სახელგამში გაქალარავებული დირექტორი ზაქარია მეგვია. ბევრი რამ იმალება ამ კაცის სახელგამური „საამური" ცხოვრების არქივშიაც.

წარმოიდგინეთ 1932 წლის ცივი ზამთარი, ცივი, როგორც ის კედლები და რკინები, რომლებიც ზაქარიამ მიიღო ტფილისიდან მაღაზიის დუქნების დასამზადებლად და ერთი გაჰყიდა თავისი „საჭიროებისათვის", — ცივი, როგორც თუჯის ღუმელი, რომელიც მან სახლში წაიღო 75 მანეთად (1923 წლის სასაქონლო მანეთებით, როგორც ეს ბალანსში იყო გატარებული, ხოლო 1935 წელს ჩერვონცებით გადაიხადა).

და ამ ცივ ზამთარში „დამსახურებულ" დირექტორს ფული არ უნდოდა? სახელგამის ჭერი წაიღო მაგიდაზე გადასაფარებლად გამიტეხილმა ბრისტოლის ქაღალდებმა... დასტურა ოთხდღე, მისცა № 1 მაღაზიის გამგეს ტრაუბეს, გაჰყიდა უანგარიშოდ და ფული „გაიმასჩა".

ბუხჰალტერ იასონს თუ „აქვს" პიანინო, დირექტორსა რაღა დაშავდა? ვერ დაუკრავს თუ? წაიღო და დაიდგა სახლში. გადაიხადა სულ 350 მანეთი. გაიაფდა პიანინო! (მხოლოდ დირექტორისათვის).

ზაქარიას და იასონის ყველა კომბინაციის აღწერა შორს წაგვიყვანს. ბათომში „ავი ენები" შეშაყდა ლაპარაკობენ ამაზე. საინტერესოა როდის მივა ხმები აჭარის პროკურორამდე?

შ. ფურცხვანიძე.

რებს, ამართლებს იმათ, ვინც ცივ ღამეში მშიერ უმუშევარს ბინის ქირის გადაუხდელობისათვის ქუჩაში აგდებს, ბუნებრივად სთვლის მშიერ უმუშევართა თვალწინ ზღვაში მილიონ ფუთობით სანოვაგის გადაყრას, ამართლებს ქალის დამამცირებელ მდგომარეობას საზოგადოებაში და ოჯახში, უშვებს სამარცხვინო, ადამიანის ღირსების შეურაცმყოფელ განსხვავებას „კანონიერ" და „არაკანონიერ" ქორწინებას და „ქორწინებათა გარეშე" დაბადებულ ბავშვებს შორის, საზღვრავს მოქალაქის უფლებაუნარიანობის საკითხს რასიული, ეროვნული და რელიგიური ნიშნების მიხედვით. ჩვენში მოსამართლე დამოკიდებულია კანონებისაგან, რომლებიც იცავენ ყველაფერ იმას, რაც ადამიანს თავის ნამდვილ ადამიანურ ღირსებაში ამკვიდრებს და ზრდის. ჩვენი მოსამართლე დამოკიდებულია კანონებისაგან, რომლებიც ამართლებენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობის მოსპობას, იცავენ სოციალისტურ საკუთრებას, ყოველ ნაბიჯზე გამოხატავენ დებულებას, რომ „ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს", დებულებას, რომელიც თვითეულისაგან მოითხოვს მისი ნიჭის მიხედვით, ხოლო აძლევს მისი შრომის მიხედვით, აღიარებენ ქალისა და კაცის თანასწორობას, კრძალავენ უფლებების ყოველ პირდაპირ და არაპირდაპირ შეზღუდვას რასიული და ნაციონალური წარმოშობის მიხედვით, და საერთოდ იცავენ ყველაფერ იმას, რაც კაცობრიობის მშრომელი ნაწილისათვის ყოველთვის პოლიტიკურ ოცნების საგანს წარმოადგენდა და ჩვენი ქვეყნის გარეთ დღესაც წარმოადგენს.

მარქსი კომუნისტურ მანიფესტში აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული კანონი ბურჟუაზიული კლასის ნების გამომხატველია. ჩვენი კანონი კი იმ მშრომელი ხალხის ნებაა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ფურცლები გადაშალა და სახელმწიფოს სულ ახალი სახე მისცა. ჩვენი სოციალისტური საზოგადოების დამახასიათებელი ურთიერთობანი იურიდიულ ენაზე ჩვენს კანონებში ლაპარაკობენ. ჩვენი სახელმწიფოს ყოველი მიღწევა აქაც არის აღნიშნული, დიდება ჩვენი ქვეყნისა აქაც არის დაწერილი. ამიტომ ეს კანონები მართლაც ღირსნი არიან, რომ ღრმად და კარგად იქნენ შესწავლილი, ღირსნი არიან, რომ მათი მსახურნი სპეციალურად აღიზარდნონ, რომ მოსამართლეები მხოლოდ მისგან იყვნენ დამოკიდებული.

ამხ. სტალინი აღნიშნავდა, რომ ყველაზე დიდი განძი ცოცხალი ადამიანებიაო. ეს არის დებულება, რომელიც გამოხატავს ნამდვილ საბჭოთა ჰუმანიზმს. ამ უკანასკნელს საერთო არა აქვს რა ეგრეთწოდებულ ევროპულ ჰუმანიზმთან, რომელმაც კულტად მხოლოდ გაბატონებული კლასის წარმომადგენლის პიროვნება აღიარა, ხოლო სხვას ყოველივე ადამიანური ღირსება ჩამოაცალა. ჩვენი კანონები ამ ნამდვილი საბჭოთა ჰუმანიზმის მატარებელი არიან. ისინი ასახავენ ჩვენი ქვეყნის ვითარებას, რომელიც ადამიანს ყველაზე უფრო ძვირფას განძად გვისახავს. ეროვნებათა, სქესთა, რასათა თანასწორობა, რომელსაც მხოლოდ ჩვენი კანონმდებლობა იცნობს, ყოველი სამარცხვინო განსხვავების მოსპობა ეგრეთწოდებულ კანონიერ და უკანონო ბავშვთა შორის, ყველაფერი ეს და ბევრი სხვაც არსებითად ხომ იმ ნამდვილი საბჭოთა ჰუმანიზმის გამომხატველია, რომელზედაც დიდი სტალინი მიუთითებდა.

ამიტომ ამ კანონისაგან დამოკიდებით გაკეთებული საქმე ამ საბჭოთა ჰუმანიზმის გატარებასაც ნიშნავს, ხოლო პირიქით, მისგან დამოუკიდებლად მოქმედება პირველ რიგში უნდა ნიშნავდეს ადამიანის იმ ღირსების უარყოფას, რომელიც მან პირველად ჩვენს საზოგადოებაში მიიღო.

საბჭოთა ჰუმანიზმი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს არც ლიბერალიზმს, არც გულშემატკივრობას, არც მეშჩანურ სინაზეს, გრძნობიერებას, ბოლოს არც კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებას. საბჭოთა ჰუმანიზმი (რულებითაც არ უარჰყოფს საბჭოთა კანონების დაუზოგველ დაცვას და ცხოვრებაში გატარებას. საბჭოთა ჰუმანიზმი, პირიქით, ითხოვს მაგალითად, სახელმწიფო საკუთრების გამნიავებლების მიმართ იმ სასტიკი ღონისძიების გატარებას, რომელიც 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით არის დადგენილი, რადგან ადამიანის ღირსების ამაღლება, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით, მხოლოდ ამ საკუთრების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

სწორედ საბჭოთა ჰუმანიზმი ითხოვს ჩვენი კანონების ზუსტად და მკაცრად გატარებას, ვინაიდან როგორც ვთქვით, თვით ეს კანონები აღიარებენ ადამიანის ნამდვილ ადამიანურ ღირსებას. საბჭოთა ჰუმანიზმი სასამართლოს პრაქტიკაში ნიშნავს იმას, რომ დასჯილი იქნება ის, ვინც მართლაც დამნაშავეა, გამართლებული იქნება ის, ვინც მართალია, რომ მოიგებს ის, ვის მხარეზეც სიმართლეა, ერთი სიტყვით, საბჭოთა ჰუმანიზმი ნიშნავს, რომ სწორედ იქნება გამოყენებული ყველა ის ხერხები და საშუალებანი, რომელიც შერჩეული აქვს ჩვენს კანონმდებლობას მატერიალური ჭეშმარიტების გამოსავლინებლად.

ყველასთვის ცნობილი მაკიაველი ხალხის მორჩილებაში სამყოფებლად უდანაშაულოთა დასჯას ურჩევდა მეფეს. თუ მხოლოდ დამნაშავე იქნება დასჯილი, რითღა შეშინდეს უდანაშაულონი, — ასეთი იყო მაკიაველის ფილოსოფია, ამაში მდგომარეობდა მაკიაველის სახელმწიფოს მმართველობის სიბრძნე. ასეთი „ჰუმანიზმი" უცნობია ჩვენი სახელმწიფოსათვის. ჩვენს სახელმწიფოში ხალხი და მთავრობა არ იმყოფებიან ისეთ დამოკიდებულებაში, რომ ეს სოციალური რეცეპტი გამოსადეგი იყოს. ჩვენი სახელმწიფო კაცობრიობის ისტორიაში ნამდვილა პირველი ხალხური სახელმწიფოა. ჩვენი მშრომელი ხალხი სახელმწიფოებრივ მთლიანობაში მოყვანილია არა ძალით, არამედ დიდი მიღწევებით, დიდი საქმით დაინტერესებით, იმას შეგნებით, რომ ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, საყოველთაოა. ამას ერთვის კაცობრიობის უდიდესი გენიის—სტალინის, საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილი ხელმძღვანელის სიყვარული. მთელი ჩვენი ქვეყნის სიდიადე და დიდი სტალინის მიერ გაკეთებული დიდი საქმე ერთნაირად ითხოვენ, რომ ცოცხალი ადამიანი შეურაცყოფილ არ იქნას თავის ნამდვილ ადამიანურ ღირსებაში.

სწორედ ამიტომ კონსტიტუციის პროექტის მე-112 მუხლი, რომელიც აქ განვიხილეთ, გულისხმობს კანონმდებლობის კარგად ცოდნას. გულისხმობს, რომ მოსამართლე კარგად იცნობს იმას, რაზედაც ის დამოკიდებულია, გულისხმობს სამართლის ნამდვილი სპეციალისტების აღზრდას. მოსამართლე, რომელიც არ იცნობს ჩვენს კანონმდებლობას, არც შეიძლება ამ კანონებისაგან იმ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს, რომელსაც კონსტიტუციის მე-112 მუხლი გულისხმობს. ამ მუხლის თანახმად ვერ იმუშავებს ის, ვინც ყველაფერი იცის, გარდა სამართლისა, ისე როგორც ვერ იმუშავებს ის, ვინც სამართლის შესახებ თითქოს ყველაფერი იცის, სანამ მას არ დაეკითხებიან, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ამ ჩვენი სამართლის მიხედვით ის პატარა საკითხები, რომლებშიაც ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდად არიან დაინტერესებული ცოცხალი ადამიანები. ვისაც ჩვენი სინამდვილის დაცვა სურს, ის კარგად უნდა იცნობდეს ჩვენს სამართალს. ის მტკიცედ უნდა იქნეს დამოკიდებული ჩვენი კანონებისაგან და რაც უფრო კარგად გვექნება შესწავლილი ეს კანონები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების მიღწევათა გამომხატველი და ამავე დროს თვით ამ მიღწევების დაცვის საშუალებანიც არიან, მით უფრო დამოკიდებული ვიქნებით მათგან, ვინაიდან მით უფრო კარგად გვექნება შეთვისებული ჩვენი კანონების მნიშვნელობა და სიდიადე.

ამიტომ კონსტიტუციის პროექტის დასახელებული მუხლი უპირველესად გულისხმობს ჩვენი კანონმდებლობის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას, გულისხმობს სპეციალური იურიდიული ცოდნით აღჭურვილ კადრებს, რომლებიც ამ კანონების ნამდვილი მსახურნი იქნებიან.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ცოდნა, რომელშიაც აქ ვლაპარაკობთ, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კანონების მშრალ დოგმატიკურ ცოდნას. ყოველი კანონის მნიშვნელობა ხშირად იმაზე მეტიცაა, რაც კოდექსში სწერია, ხოლო ხშირად პირიქით, იმაზე ნაკლებიცაა, რაც ტექსტშია აღნიშნული. კანონის ნამდვილი მნიშვნელობა კანონის გარეთ აშკარავდება. და მოსამართლეც ამ მნიშვნელობას კანონიდან, მაგრამ მის იქითაც უნდა ხედავდეს. ამიტომ ჩვენი მოსამართლე პოლიტიკაშიც უნდა ერკვეოდეს, რადგან მხოლოდ ეს აძლევს მოსამართლეს შესაძლებლობას დაინახოს გუშინდელი კანონის დღევანდელი მნიშვნელობა. მხოლოდ პოლიტიკის საფუძველზე შეუძლია მას შეიგნოს არსებული კანონის დღევანდელი სიმახვილის ხარისხი.

ჩვენს სამოქალაქო კოდექსში, მაგალითად, ბევრია ისეთი მუხლი რომლებითაც სარგებლობა დღეს უკვე აღარ შეიძლება, თუმცა ისინი ოფიციალურად გაუქმებული არ არიან. ამხ. კრილენკო სრულიად რუსეთის ცაკის IV სესიაზე სამართლიანად აღნიშნავდა, „რომ სამოქალაქო კოდექსი ჩვენში 60%-ით „არ მეტყველებს" და ამ ნაწილში სამოქალაქო კოდექსი მკვდარი კანონიაო", დღესაც, მაგალითად, ოფიციალურად გაუქმებული არ არის მიწის კოდექსი, რომელიც 1922 წელს იყო შემოღებული.

სად ძევს ხაზი მკვდარსა და ცოცხალს შორის, რომელი მუხლი მართლაც მეტყველებს და რომელი „სდუმს", რას ნიშნავს ესა თუ ის კანონი — ყველაფერი ამის გაგება მხოლოდ პოლიტიკის ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი.

ასეთ დიდ რამეს ავალებს მოსამართლეს ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტი, ასეთ დიდ ამოცანებს აყენებს ჩვენი მოსამართლეების წინაშე კონსტიტუციის პროექტი, რომელიც დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყურადღების ცენტრში დგას.



ტფილისი—რუსთაველის თეატრთან.

სასკოლო მშენებლობა

(31 ივლისისათვის)

განსახკომის ცნობით, საქართველოს ქალაქებში ახალი სკოლების მშენებლობა 31 ივლისისათვის ასეთ მდგომარეობაში იყო:

ბათომში (განსახკომი ამხ. ქათამაძე) ვადამდე დამთავრდა სკოლის ორი შენობა, რომელთა მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟ. ნადარეიშვილი. 31 ივლისისათვის დამთავრებული იყო აგრეთვე ტფილისის ახალშენისა და ნინოშვილის ქ. სასკოლო შენობები. ამ სკოლებს აგებდნენ ინჟ. კველიშვილი და თ. ქუთათელაძე.

სოხუმში (განსახკომი ამხ. ზანთარია) 400 მოწაფის ადგილიანი სკოლის შენობა მზად იყო 84,6 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 95 პროც. (აშენებს ინჟ. ჩინკინი).

ოჩამჩირეში 280 მოწაფის—ადგილიანი სკოლის შენობა (ამხ. ქუთათელაძე) მზად იყო 82 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 96 პროცენტით.

სტალინირში (განსახკომი ამხ. [illegible] აევი) სკოლის შენობა მზად იყო 86,5 პროც., უნდა ყოფილიყო 98 პროცენტით (აგებს ინჟ. ცუცქირიძე).

ქუთაისში (განათლების განყ. გამგე ამხ. რუსიძე) 880 მოწაფის — ადგილიანი სკოლის შენობა მზად იყო 80,8 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 97 პროც. მეორე სკოლის შენობა მზად იყო 86,4 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 98 პროცენტით (ამ სკოლებს აგებს ამხ. ბოძინიძე).

ტფილისში (გან. განყ. გამგე ამხ. ქაცარავა) საბურთალოს სკოლის შენობა (ინჟ. დონდუა) მზად იყო 89,7 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 95,7 პროცენტით. მნათობის ქუჩაზე სკოლის შენობა (ინჟ. ვარაზოვი) მზად იყო 86,3 პროც., უნდა ყოფილიყო 97 პროცენტით. ბრძოლის ქ. სკოლის შენობა (ინჟ. ფარცვანია) მზად იყო 85 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 96,8 პროცენტით. სარეწაო კოოპერაციის ქ. სკოლის შენობა (ინჟ. ბაქრაძე) მზად იყო 74,5 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 93 პროცენტით. კაბგეროვის ქ. სკოლის შენობა (ინჟ. ულუხანოვი) მზად იყო 91 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 97 პროცენტით. გერმანელების ქ. სკოლის შენობა (ინჟ. ულუხანოვი) მზად იყო 84,2 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 96,6 პროცენტით.

ამგვარად, საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) სკოლების ტექნიკური მზადყოფნის საშუალო პროცენტი 89-ს უდრის, ტფილისისა კი 87,8 პროცენტს.

სამეურნეო ორგანოების სკოლები

მოლიბდენის სკოლის (ინჟ. ციხელაშვილი) მშენებლობის შესახებ განსახკომს ცნობები არ მოეპოვება. ინგურქაღალდმშენის სკოლის შენობა (ინჟ. ვიქტოროვი) 31 ივლისისათვის მზად იყო 90 პროცენტით, კალენდარული გეგმის მიხედვით მზად უნდა ყოფილიყო 90 პროცენტით. ჯოლილის ფერომარგანეცის ქარხნის სკოლა მზად იყო 89 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 90,7 პროცენტით (აგებს ინჟ. ნიჟარაძე). ტფილისის ღრმა ღილის სატრიკოტაჟო კომბინატის სკოლის შენობა (ინჟ. კონტრიძე) მზად იყო 98,6 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 100 პროცენტით. წილკნის კიროვის სახელობის ქარხნის სკოლა (ინჟ. კუზმინი) მზად იყო 90 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 97 პროცენტით. ხრამჰესის სკოლის შენობა (ინჟ. ჩხეიძე) მზად იყო 87 პროცენტით, უნდა ყოფილიყო 93 პროცენტით.

◦

ჩაის მოწყობილობის ქარხანა ბათომში

საქ. მთავრობის კომისიამ ამხ. პეტცოვის თავმჯდომარეობით დაამთავრა ჩაის მოწყობილობის ფაბრიკის მიღება ბათომში.

ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1933 წელს და ნაწილობრივ ამუშავებულ იქნა 1936 წლის თებერვალში. კომისიამ გამოიკვლია ქარხნის მომქმედი საამქროები—ჩამომსხმელი, სამჭედლო და შემკრები საამქროები თავისი მოწყობილობით. საამქროების მუშაობა და მოწყობილობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ქარხანამ აითვისა და უშვებს 7 ტიპის სხვადასხვა მოწყობილობას, რომლებიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა.

ახალი მანქანების ათვისება გრძელდება. ამჟამად ქარხანას შეუძლიან გამოუშვას წელიწადში 2.600.000 მანეთის ჩაის მოწყობილობა.

მოხუც სვან მომღერალთა გუნდი

ზემო-სვანეთი ემზადება ისტორიული თარიღისათვის—7 ნოემბრისათვის. ეს თარიღი, გარდა იმისა, რომ მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმისა და ბურჟუაზიის ბატონობისაგან განთავისუფლების თარიღია, ზემო-სვანეთის მშრომელთათვის განსაკუთრებით იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ ამ დღეს უნდა მოხდეს ახლად გაყვანილი საავტომობილო გზის საზეიმო გახსნა, რომელიც ამ წარმტაც კუთხეს დაუკავშირებს კულტურულ ცენტრებს და ჩააბამს კულტურული ცხოვრების მშენებლობის ფერხულში.

ამიტომაა ზემო-სვანეთის მშრომელები განსაკუთრებით ემზადებიან ამ მეტად ღირსშესანიშნავი დღის აღსანიშნავად.

როგორც ამხ. ს. გელედიანი მესტიიდან იწერება, ზემო-სვანეთში ჩამოყალიბებულია მოხუც სვან მომღერალთა გუნდი, რომელიც ძველებურ სვანურ სიმღერებს, ცეკვებს, ჩანგ-ჭიანურზე დაკვრას და ფერხულს უჩვენებს მესტიაში პირველად ავტომობილებით მოსულ სტუმრებს.

გუნდი სპეციალურად შერჩეულია 15 სასოფლო საბჭოდან სამასი მოხუცი კაცისა და ქალებისაგან. გუნდის ხელმძღვანელად გამოყოფილია ცნობილი ლოტბარი მ. დადეშქელიანი.

10 ივლისს გუნდი მზადებას შეუდგა. ხმების ურთიერთშეწყობისათვის ისინი მოწვეულნი იყვნენ მესტიაში, სადაც, გარდა რეპეტიციებისა, მოხდა თავშეყრილ მოხუცთა ზეპირგადმოცემების (განცდილი, ნახული, გაგონილი და ყოფაცხოვრებითი ამბები) ჩაწერა.

მეტად საინტერესო იყო მოხუც სვან მამაკაცთა ნახვა ძველებურ ტანსაცმელში ძველებური საჭურველით და ქალებისა—„ჩაფრასტარებით" და „ქუმბარებით". ამ სანახაობას შორეულ წარსულში გადავყავართ.

ამასთან საინტერესო იყო ეს შეკრება იმითაც, რომ სვანეთის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, რომელთაც თავის სიცოცხლეში არ შეუყრიათ თავი და შესაძლოა ერთმანეთს მტრობდნენ კიდეც, მხოლოდ ერთსულოვნებით შეეგებნენ ერთმანეთს.

გუნდის რეპეტიციებმა გვიჩვენეს სვანთა უმდიდრესი ზეპირსიტყვიერი შემოქმედებითი ნიჭი. თუმცა ყოველ „სადადეშქელიანო" და „თავისუფალ" სვანთა სიმღერებსა და ფერხულს შორის და თვით ლაპარაკშიაც დიდი განსხვავებაა, გუნდმა მაინც გამონახა საერთო ხაზი და შეხმატკბილებულად ჩაატარა ყველა სიმღერა და ცეკვა—თამაში, რამაც განცვიფრებაში მოიყვანა მნახველნი.

სვანეთის ხალხური შემოქმედების ეს ნიმუშები საჯაროდ ცნობილი გახდება ოქტომბრის რევოლუციის დიდ დღეს—7 ნოემბერს.

◦

„კავკასიონი ქარიშხალში"

მწერალთა სასახლეში შესდგა პოეტ კალე ბობოხიძის ახალი პოემის („კავკასიონი ქარიშხალში") კითხვა. კითხვა მოაწყეს საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტებისა და სამხედრო მხატვრული ლიტერატურის სექციებმა. პოემამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მის შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს ორდენოსანმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა, ბ. ჟღენტმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ა. ნადირაძემ, ბ. ჩხეიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ს. თავაძემ, პ. კუშელავამ, არ. ჩაჩიბაიამ, ერ. ასტვაცატუროვმა და სხვ. ხსენებული მწერლების აზრით, კ. ბობოხიძის პოემა ახალი და ფრიად საინტერესო მოვლენაა ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაში. იგი მიღწევაა არა მარტო ამხ. ბობოხიძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ მწერლობაში. პოემა წარმოადგენს სამოქალაქო ომების გმირულ ეპოპეას. იგი მაჩვენებელია პოეტის დიდი შრომისუნარიანობისა და შემოქმედებითი ზრდისა. მთელი რიგი სცენები სამოქალაქო ომებიდან მოცემულია დამაჯერებლად. პოემაში შევხვდებით მთელ რიგ ნიჭიერ, ორიგინალურ პოეტურ თქმებს, მეტაფორებს და შედარებებს. რითმების მხრივაც პოემა ბევრს ახალს იძლევა. პოემის ნაკლი, ზოგიერთი მწერლის აზრით, ის არის, რომ ყველა გმირის ხასიათი არ არის მოცემული. ზოგიერთ თავს სჭირდება შემოკლება და შესწორება. მკრთალადაა მოცემული პოემის ერთერთი გმირის—რევაზის სახე. მაგრამ ყველა ეს ნაკლი ადვილი გასასწორებელია. პოეტ ვ. გაფრინდაშვილის აზრით, არც არის საჭირო ყველა გმირის ხასიათის მოცემა, რაც გამოიწვევდა ისედაც საკმაოდ მოცულობის პოემის გაჭიანურებას. ავტორმა პოემის გამოცემამდე უნდა შესძლოს ამ ნაკლთა გამოსწორება.

□

ახალი წიგნი

#„წიგნი საქიმოო". საქ. სახელგამმა გამოსცა მე-13 საუკუნის ავტორის ნაშრომი „წიგნი საქიმოო", რომელსაც დართული აქვს ექ. ლადო კოტეტიშვილის წერილი „მედიცინა ძველ საქართველოში" და ვრცელი ლექსიკონი. წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 381 გვერდს და ღირს 23 მან. 75 კაპ.

სტაბილური სახელმძღვანელოები

წელს მიღებულია ყველა ზომა, რომ თავიდან იქნას აცილებული გასული წლის შეცდომები, როდესაც სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა დაუშვებლად ჭიანურდებოდა და მოწაფეები მათ მნიშვნელოვან ნაწილს ფაქტიურად სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ღებულობდნენ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში დაისვა გამომცემლობათა წინაშე კარგი ხარისხის, გარეგნულად ლამაზად გაფორმებული სახელმძღვანელოების დროულად და გეგმიანად გამოცემის საკითხი.

კერძოდ, სახელგამს დაევალა გამოეცა სტაბილური სახელმძღვანელოები სამ ვადად: ტირაჟის 50 პროცენტი 1-ლ ივლისისათვის, 40 პროც.—1 აგვისტოსათვის და დანარჩენი 10 პროც. 1 სექტემბრისათვის. სულ გამომცემლობამ ახალი სასწავლო წლისათვის უნდა გამოუშვას სტაბილური სახელმძღვანელოების 61 სახელწოდება საშუალო, არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლებისათვის საერთო ტირაჟით 2.327 ათასი ცალი.

ამ დავალებას სახელგამი ასრულებს. 1-ლ ივლისისათვის გამოცემული იყო სახელმძღვანელოების 32 სახელწოდება 1.185 ათასი ცალის ტირაჟით (58 პროც.). პირველ აგვისტოსათვის გამოშვებულია 26 სახელწოდება ტირაჟით 847 ათასი ცალი. [illegible] სახელმძღვანელო — ფიზიკური გეოგრაფიისა მეხუთე კლასისათვის და სამეურნეო საქმის სახელმძღვანელო ჯერ კიდევ [illegible] მიღებული მოსკოვიდან და მათი თარგმნა და გამოცემა ვერ ხერხდება სახელგამისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამრიგად, აგვისტოში გამოსაცემი რჩება მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო. ის გამოვა 10 აგვისტოსათვის, ვადაზე ადრე.

სახელგამმა აგრეთვე უნდა გამოსცეს 10 არასტაბილური სახელმძღვანელო: 4 სახელმძღვანელო ქართული ენისა არაქართული სკოლებისათვის, ერთი ქრესტომატია რუსული ლიტერატურისა მე-8 და მე-9 კლასებისათვის (ვადა 15 სექტემბერია) და 5 სახელმძღვანელო უცხო ენებისა — გერმანულისა, ფრანგულისა და ინგლისურისა (ვადა 1 ოქტომბერი). ყველა ისინი გადაცემული აქვს წარმოებას და ვადის დროზე იქნება გამოშვებული 185 ათასი ეგზემპლიარის ტირაჟით.

სახელგამმა უნდა მიიღოს აგრეთვე [illegible] სხვა რესპუბლიკაში გამოცემული სახელმძღვანელოები (რუსულ, თურქულ, სომხურ და სხვა ენებზე). მათ შორის, მოსკოვიდან მიღებული იქნება ყველა საგნის 80 სტაბილური სახელმძღვანელო (600 ათასი ცალი) რუსულ ენაზე. 37 სახელწოდების სახელმძღვანელო უკვე მიღებულია. დანარჩენი მიღებული იქნება 1 სექტემბრისათვის.

თურქულ ენაზე 43 სახელწოდებიდან, რომლებიც მიღებული უნდა ყოფილიყო 25 ივლისისათვის, ჯერ არაფერია მიღებული. სომხურ ენაზე 50 სახელწოდებიდან დღემდე მიღებულია მხოლოდ 7, ხოლო გერმანულ ენაზე 45 სახელწოდებიდან მიღებულია 13, ოთხი გზაშია იმყოფება.

სახელგამის მიერ გამოცემული სტაბილური სახელმძღვანელოები ხარისხით, თავისი გარეგანი გაფორმებით, საგრძნობლად ჯობნის წინანდელ გამოცემებს.

სახელგამს დავალებული ჰქონდა სტაბილური სახელმძღვანელოების 80 პროცენტი გამოეშვა მუყაოს ყდით. ეს დავალება მან გადაჭარბებით შეასრულა (81 პროც.). სახელმძღვანელოები დაბეჭდილია გაუმჯობესებული ხარისხის ქაღალდზე.

◇ ◇ ◇

უცხოელი ტურისტები

ივლისის დამლევიდან საქართველოში, კერძოდ, ტფილისში მრავლად მოდიან უცხოელი ტურისტები.

აგვისტოს პირველ ხუთდღიურში ტფილისი გაიარა რამდენიმე ასეულმა უცხოელმა ტურისტმა, ივლისის განმავლობაში კი დაახლოებით იმდენმა, რამდენმაც მთელი 1935 წლის განმავლობაში.

ამ დღეებში ტფილისში მოელიან ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფს ლუი ფიშერის მეთაურობით; ფიშერი უკვე რამდენჯერმე იყო საქართველოში. მოელიან აგრეთვე ამერიკის საფინანსო მუშაკებს ერთერთი უდიდესი ბანკის „ამერიკენ ექსპრეს კომპანის" ვიცე-პრეზიდენტის [illegible] დატსონის მეთაურობით. ეს ჯგუფი ტფილისიდან სომხეთს გაემგზავრება.

მოსალოდნელია ამერიკის ოთხი მსხვილი ნავთის მრეწველის ჩამოსვლა. ეს ჯგუფი რამდენიმე დღე დარჩება ბაქოში. აღნიშნული მრეწველები უკვე იყვნენ ამიერ-კავკასიაში 1931 წელს.

□ □ □

თამბაქოს მუშაკთა დაჯილდოვება

1935 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადებისა და შესყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისა და პირველი და მეორე ხარისხის თამბაქოს რაოდენობის 1-ნახევარჯერ გადიდებისათვის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. მიქოიანის ბრძანებით სახელობითი საათით და თვიური ხელფასით დაჯილდოებულნი არიან: „საკავშირო თამბაქონედლეულის" საქართველოს განყოფილების მმართველი ამხ. ერ. დამენია, ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორი ამხ. მ. წერეთელი, „თამბაქონედლეულის" აჭარის განყოფილების მმართველი ამხ. გ. ბერიძე.

თვიური ხელფასითა და საგზურით კურორტზე დაჯილდოებულია საქართველოს განყოფილების მმართველის მოადგილე ამხ. ა. ჭაჭიაშვილი, საქგანყ. ნედლეულის სექტორის უფროსი ამხ. ლ. კობახიძე, საქგანყოფილების მთავარი მეთამბაქოე ამხ. მ. ჩარხვა და თვიური ხელფასით ლაგოდეხის საფერმენტაციო ქარხნის მეთამბაქოე ამხ. ა. ბოლაშვილი.

ხალხური ცეკვის სრულიად საქართველოს ოლიმპიადა. სურათზე: ილ. ქორქიაშვილი და ს. ციმაკურიძე ცეკვავენ ლეკურს.

კინო

სახკინმრეწვის ახალი სურათები

მიმდინარე წლის დამლევამდე საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა გამოუშვებს 7 მხატვრულ ხმოვან სრულმეტრიან სურათს, ორ საბავშვო, შვიდ სამეცნიერო-ტექნიკურ და ერთ ექსპერიმენტულ—ფერად ფილმს.

აგვისტოში გამოვა 1935 წელს დაწყებული ფილმი „დარიკო" (ხმოვანი და მუნჯი ვარიანტი) ვ. რინოშვილის მოთხრობის მიხედვით. სცენარი და დადგმა ეკუთვნის რეჟ. ს. დოლიძეს, მხატვარი—დ. სხაძე, ოპერატორი—შ. აფაქიძე. აგვისტოშივე გამოშვებულ იქნება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. შენგელაიას ფილმი „ოქროს ველი" საკოლმეურნეო თემაზე. მხატვარი ი. გამრეკელი, ოპერატორი — ა. პოლიკევიჩი. სცენარი ეკუთვნის მწერალ ლეო ქიაჩელს.

15 აგვისტოსათვის ეკრანზე გამოშვებული იქნება ხმოვანი ფილმი „ქაჯეთი", რომელიც აგებულია „ვეფხის ტყაოსნის" ერთერთ ეპიზოდზე. დადგმა ეკუთვნის რეჟ. კ. მიქაბერიძეს, ოპერატორი—ა. დიღმელოვი. ამავე დროისათვის გამოვა დოკუმენტალური ფილმი „გამარჯვების 15 წელი", რომელიც გვიჩვენებს საბჭოთა საქართველოს მიღწევებს. რეჟისორები—მ. ქალატოზიშვილი და მიტროფანოვი.

ტექნიკური ფილმებიდან აგვისტოში გამოვა „მოწამვლის ჰიგიენა" სამ ნაწილად.

სექტემბერში დამთავრდება ხმოვანი ფილმი მფრინავთა ცხოვრებიდან „მფრინავი მეგობარი", რომელზედაც მუშაობენ რეჟისორი ლ. ესაკია, მხატვრები პ. ოცხელი და ს. ვაჩნაძე, ოპერატორი დ. კანდელაკი. სცენარი ეკუთვნის გ. მდივანს.

ნოემბრის ბოლოს განზრახულია გამოშვებულ იქნას ორვარიანტიანი ფილმი (ხმოვანი და მუნჯი) „არსენა" ს. შანშიაშვილის სცენარის მიხედვით. რეჟისორია ორდენოსანი მ. ჭიაურელი, მხატვარი—ი. გამრეკელი, ოპერატორი—ა. დიღმელოვი.

ამავე თვეში დამთავრდება ექსპერიმენტული ხმოვანი და ფერადი მულტიპლიკაციური ფილმის „მაჭანკალას" გადაღება (კომიკური სურათი ერთ ნაწილად).

წლის ბოლოს ფაბრიკა გამოუშვებს ხმოვან კომედიას „დაკარგული სამოთხე" დ. კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით. სცენარი გ. მდივანისა, დადგმა რეჟ. დ. რონდელისა, მხატვარი—დ. კაკაბაძე, ოპერატორი — ბერიშვილი, და აგრეთვე ორ საბავშვო სურათს „ალამ" და „პირველი დღე". პირველს სდგამს რეჟ. ი. პერესტიანი, ხოლო მეორეს—დამსახურებული არტისტი ა. თაყაიშვილი.

სამეცნიერო-ტექნიკური ფილმებიდან უკვე დამზადებულია საქართველოს ჯანსახკომის შეკვეთით მუნჯი სურათი „პარტახტიანი ტიფი", „წითელა", „დიფტერიტი", „კოლმეურნის ჰიგიენა" და წლის ბოლომდე დამთავრდება ხმოვანი ფილმები „ჩაი" და „აწყური".

◇

ხელოვნება

ხალხური ცეკვის ოლიმპიადის მონაწილენი ესტრადაზე

9, 10 და 11 აგვისტოს საქ. ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანების საზაფხულო ესტრადაზე მუსიკ-ჰოლის ჩვეულებრივი პროგრამის გარდა მოხდება ხალხური ცეკვის სრულიად საქართველოს ოლიმპიადის მონაწილეთა გამოსვლა.

მონაწილეობენ აფხაზეთის მ. ცეკვავეები ვ. აჩბა, რ. აგრბა, ქ. ლაბზა, ი. გეზერდავა, ა. გუბლია და ყაზბეგის რაიონის მოცეკვავეები ნიურა და გრიგოლ ტოკაევები და მეწყემსი ბატაევი.

◦

მსახიობთა შემოქმედებითი მივლინება

ალკკ ტფილისის კომიტეტის დადგენილებით, ტფილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი შემოქმედებით მივლინებაში გზავნის მოსკოვსა და ლენინგრადში მსახიობებს ნ. გვარამეს (რესპუბლიკის დამსახ. არტისტი), თ. თვალიაშვილს, გ. კუპრაშვილს, გ. აბაშიძეს, ელ. ციხისთავს, მ. ერგნელს, ნ. მიქაშავიძეს, ბ. გამრეკელს, ილ. კაჭკაჭიშვილსა და გ. ჟორდანიას.

მსახიობები მოსკოვსა და ლენინგრადში დაჰყოფენ ერთ თვეს. ამ ხნის განმავლობაში გაეცნობიან მოზარდ მაყურებელთა თეატრების მუშაობას, დაათვალიერებენ თეატრალურ მუზეუმს, დაესწრებიან თეატრალურ ფესტივალს და გაეცნობიან წითელ დედა-ქალაქს.

სარტყამოსროლა—ბავშვების საყვარელი გართობაა. სურათზე: პიონერი ვერა მოშელიძე (კოჯრის საბავშვო ბანაკი) სტყორცნის ლურთს.

ნიაღვარი ბათომში

ბათომი, 8 აგვისტო. (საქ. კორ.) ივლისის დამლევიდან ბათომში გახშირდა წვიმები და ელვა-ჭექა. ერთ დღეს საქნავთავპრომის განყოფილების რეზერვუარს დაეცა მეხი. სასწრაფოდ მიღებული ზომებით ცეცხლი ჩააქრეს.

7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ბათომში დაიწყო კოკისპირული წვიმა.

ქუჩებში გამვლელები მუხლამდე წყალში დადიოდნენ, ზოგიერთ ასფალტირებულ ქუჩაში თავისუფლად შეეძლოთ ნავების ტარება. წვიმა და ელვა-ჭექა 3 საათს გაგრძელდა.

◇

სატროლეიბუსო მუშაკთა მომზადება

სატროლეიბუსო მოძრაობის გახსნა და საერთოდ, სატროლეიბუსო მეურნეობის ხელმძღვანელობა ტფილისში დაკისრებული აქვს ტრამვაის დირექციას.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით, ტრამვაის დირექციამ უნდა მოამზადოს 15 სექტემბრისათვის ტროლეიბუსთა წამყვანები—20 კაცი, 2 მორიგე მონტიორი, 3 მორიგე ოსტატი, 2 მუშა ტროლეიბუსთა პროფილაქტიკური რემონტის საწარმოებლად და 3 ხელოსანი—მეში.

სატროლეიბუსო მეურნეობაში მომუშავეთა მთელი კადრის მომზადება (60 წამყვანი, 4 მორიგე მონტიორი, 10 მორიგე ოსტატი და სხვა დანარჩენი პროფესიებისა—13 კაცი) უნდა დამთავრდეს 15 ნოემბრისათვის.

სატროლეიბუსო მოძრაობის გახსნა ტფილისში გათვალისწინებულია მესამე კვარტალში.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების მსმენელთათვის საკითხზე—თუ როგორ გამოვიყენოთ „ისტორია სამოქალაქო ომისა საბჭოთა კავშირში" მორიგი თემისათვის საქ. კ.პ. ისტორიიდან—რუსულ ენაზე. საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი—კონსულტაცია საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის წრეების მეცადინეობაზე ცოცხალი სიტყვის მეთოდის გამოყენების საკითხზე. საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი—ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საკითხზე—ქართულ ენაზე. საღამოს 8 საათზე.

ჯგუფური კონსულტაცია კალინინის სახელობის ქარხნის კომკავშირის აქტივისათვის საქ. ალკკ მეათე ყრილობის მასალების მიხედვით. დღის 4 საათზე.

◦

10 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში მწერალი ა. არსენიშვილი პროპაგანდისტებისა და პარტიული აქტივისათვის წაიკითხავს მოხსენებას—„მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება".

საქართველოს ადგილ. მრეწველობის სახ. კომისარიატის

სამკერვალო ფაბრიკა № 6

თოდრიას ქუჩა № 22 (ყოფ. სომხის ბაზარი)

ა ც ხ ა დ ე ბ ს

შემკვეთელთა საყურადღებოდ, რომ ქვემოთჩამოთვლილი შეკვეთები—კოსტუმები და პალტოები, როგორც კაცის, ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 1-ლ აგვისტოსათვის მიუხედავად დანიშნული ვადებისა, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

სამი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება სხვა პირებზე და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

შეკვეთების №№

18, 039, 40, 056, 087, 088, 089, 89, 97, 104,
110, 118, 119, 126, 155, 171, 175, 180, 187, 293,
296, 300, 317, 318, 327, 328, 329, 331, 337, 338,
343, 344, 345, 361, 367, 369, 370, 375, 384, 392,
405, 412, 415, 416, 427, 428, 429, 440, 448, 449,
455, 468, 0473, 479, 483, 492, 498, 511, 519, 526,
549, 563, 609, 610, 616, 630, 0992, 01044, 1078,
1086, 1090, 01094, 01139, 1191, 1200, 1223, 1225,
1248, 1273, 1290, 1291, 1292, 1303, 1306, 1314,
1319, 1320, 1341, 1348, 1350, 1365, 1377, 1401,
1402, 1412, 1415, 1418, 1430, 1431, 01433, 1438,
01439, 1442, 1444, 1455, 1458, 1460, 1467, 1470,
1482, 1489, 1503, 01534, 01600, 01613, 1843, 2110,
2125, 2138, 2161, 2174, 2188, 2189, 2193, 2238,
2247, 2248, 2249, 2261, 2265, 2269, 2284, 2285,
2295, 2301, 2325, 2726, 3093, 4072, 4106, 4124,
04140, 4145, 4150, 4165, 4166, 4180, 4197, 4198,
4199, 4200, 4236, 4244, 4251, 4253, 4272, 4273,
4285, 4299, 4303, 4316, 4323, 4327, 4328, 4329,
4335, 4340, 04783, 04893, 05157, 05425, 5656,
05832, 05924, 6007, 6028, 6048, 6056, 6063, 6079,
06116, 6138, 06140, 6217, 6219, 6224, 6234, 6238,
6240, 6247, 6248, 6251, 6253, 6265, 6269, 6275,
6288, 6300, 6301, 06397, 06653, 06703, 06499,
06516, 06587, 6635, 06656, 7006, 7067, 7306, 7316,
7317, 7321, 7323, 7327, 7331, 7335, 7341, 7346, 8146,
8211, 8236, 8248, 8299, 9000, 9054, 9074, 9023,
9127, 9153, 9186, 9197, 9198, 9199, 9206.

შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთები—ხალათები, შარვლები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო პირველ აგვისტოსათვის, უნდა გამოსყიდულ იქნას ზემოაღნიშნულ ვადაში.

შეკვეთების მიღება და გაცემა სწარმოებს კენტ რიცხვებში 9—2 საათამდე.

1532

ტფილისის სამხატვრო ტექნიკუმი

1936/37 სასწავლო წლის მიღების პირობები

1. სამხატვრო ტექნიკუმში მიიღებიან არასაშუალო სკოლის კურსდამთავრებულები 15—25 წლამდე.
2. 1935/36 წ. კურსდამთავრებული ფრიადოსანი მოწაფეები მიღებული იქნებიან უგამოცდოდ.

შენიშვნა: გამოცდა ექნებათ მხოლოდ ხატვაში.

3. მისაღები გამოცდები იწარმოებს 22 აგვისტოდან 28 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: ქართულში, არითმეტიკაში, ალგებრაში (წერითი და ზეპირი), გეომეტრიაში, საზოგ. მეცნიერებაში, გეოგრაფიაში, ხატვაში.
4. განცხადებების მიღება 20 აგვისტომდე.

მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 22.

1564 დირექცია.

ტფ. ორჯონიკიძის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი თ. დ. ასანიძე ამით აცხადებს, რომ ა/წ. 13 აგვისტოს დღის 12 საათზე ტფილისში, ბარნოვის ქუჩაზე № 73 (ვაკე) სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

მოქ. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ჭუმბურიძის ქონებას:

შიფონერი სარკით, შიფონერი უსარკოდ, შკაფი, კაპოტი, პატარა პირის საბანი სარკით, წიგნების შკაფი, კედლის სარკე დიდი, პატარა სარკე ნახევრად მრგვალი. ქონება შეფასებულია 2000 მანეთად და გაიყიდება მაძიებლის [illegible] პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ორჯ. სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ა. წ. 8 ივნისს 2/475 №-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

15638

მუსიკ-ჰოლი
9 და 10
აგვისტოს

პროგრამის მესამე ციკლი პროგრამის გარეშე

— ოლიმპიადის მონაწილენი —

აფხაზეთი: აჩბა, აგრბა, გუბლია, გეზერდავა და ლაბზა.

ყაზბეგის რაიონი: ნიურა და გრიგოლ თაყაევები და ჩაბან ბათაევი.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

40 2-1

სამკერვალო ფაბრიკა № 6 ბ ა ლ ა ნ ს ი

1936 წლის 1 იანვრისთვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	141297	06
2	საწარმოო მარაგი	302597	32
3	დაუსრულებელი წარმოება	121417	96
4	საქონელი და მზა ნაწარმი	66518	92
5	საქონელი გადაგზ. ადგ. მყიდველებზე	28397	67
6	მასალები და ინვენტარი გამოყოფ. სარეალიზაციოდ	2987	61
7	ფულადი საშუალებები	52031	23
8	საშუალებები ანგარიშწორებ.	178122	91
9	მომავალი დროის ხარჯები	33461	69
10	ბრუნვის გარეშე საშუალებანი	226632	50
11	ანგარიშწორება სისტემის წიგნით	45396	13
	ბალანსი	1199381	90

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კაპ.
1	ფონდები	692368	44
2	მიზნობრივი რეზერვები	8245	30
3	დარეგულირებული მუხლები	3984	53
4	ანგარიშსწორებანი	83830	05
5	საოპერაციო წლის დაგროვება	410953	58
	ბალანსი	1199381	90

დირექტორი ს. ვაშაძე.
მთ. ბუღალტერი ვ. ჭანტურაია.

1521

თავზარდაცემული მეუღლე ოლღა, შვილები: ლუბა, აპოლონ, საშა, რძალი ლუბა, სიძე რაფიელ სტურუა შვილიშვილებით აცნობებენ ნათესავ-მეგობრებს

ლუკა მეთოდის-ძე ოდილავაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 აგვისტოს ს. ლაიტურში. 15639

ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატის ტყავ-ფეხსაცმლის სამმართველო და ტყავმარაგგასაღების ანგარიში იუწყებიან სამმართველოს თანამშრომლის ამხ. იოსებ იაშვილის დის

სალომე იაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, სოფ. სვირი, ს. სიქთარვა. 15629

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობა მწუხარებით გამოსთქვამს თავის თანამშრომლის

ალექსანდრე იოსების-ძე კლდიაშვილის

გარდაცვალების გამო. 15624

10 აგვისტოს ქ. ლანჩხუთში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი

გერონტი ვადაჭკორიასი

რასაც იუწყებიან: ცოლი ნატაშა, შვილები: ბორის, კოტა, ნუცა, რძალი მერი ვადაჭკორიები. 15642

ღრმად დამწუხრებული შვილი პაშა ქმრით ექიმ ნიკოლოზ სალაყაიათი ულმობელი მწუხარებით იუწყება საყვარელი დედის

კესარია ნაფეტვარიძის

უდროდ გარდაცვალებას. 15625

დედა ფელომი, დები: თინა, ელენე, ძმები: ვანო, ვალერიანი, ნოდარი იუწყებიან, რომ 11 აგვისტოს ქ. ხონში დანიშნულია ძვირფასი

მარო იგანეს-ასულ ჭაჭარავას

სამოქ. პანაშვიდი. 15630

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 65.
მთავლიტის რწმუნებული ღ—8526